საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 10 დეკემბერი, 2015 წელი.

№232 (7877)

ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴅⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

იოსებ არჩვაძე:



პენსიონერებისადმი ნაციონალების „სიყვარულის ბუშტის გასკდომა“ ადვილად ასახსნელია... ⑤

რამაზ საყვარელიძე:

⑥ სომხეთის ინტერესებს წინილასავით ზედ მიაკლავენ!..

ვახტანგ ძაბირაძე:

ივანიშვილის პოლიტიკაში ③ დაბრუნებამ შესაძლოა, ის გააკეთოს, რაც მას ეგონა, რომ პოლიტიკიდან წასვლით გაკეთდებოდა

მამუკა არეშიძე:

კოალიციაში რესპუბლიკელების ყოფნა იმის ნიშანია, რომ კოალიცია დასავლურ ③ კურსს არ უხვევს!

სიტყვითმკვლელებმა ბოლომდე აიშვეს!

SOS!

მართლმადიდებლობას ტყუილმადიდებლობა უტევს!

როგორ გამართლდა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის დეკანოზის, მამა პეტრეს (კვარაცხელია) ნათქვამი: „უწმინდესის კიდევ ერთ კეთილ ნებას გამოიყენებენ და პილატე პონტოელივით ხელებს მას შეახოცავენ“...

პატიმარი ქალების მონაწილეობით გამართულ სპექტაკლში იყო ისეთი მომენტები, როცა მთელი დარბაზი ტიროდა. განსაკუთრებით ამაღელვებელი გახლდათ სპექტაკლის კულმინაცია, როდესაც პატიმრებმა პატრიარქის ცნობილი საგალობელი იმღერეს – „დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო!..“

სპექტაკლის ბოლოს პატრიარქმა თავისი ადამიანური ხასიათი კიდევ ერთხელ გამოავლინა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა – „რა მოხდებოდა, მეც მქონოდა შეწყალების უფლებაო!..“ უწმინდესს სურდა ეს გოგონები გაეთავისუფლებინათ პატიმრობიდან და სახელმწიფოს ჰუმანური ბუნება გამოეხატა.

ეს იყო და ეს... მაგრამ საქართველო ხომ ცოდვილი მანქურთებით არის სავსე და პატრიარქის ამ სუპერჰუმანურ მოსაზრებას ახალი ნაციონალური, მართლაც ლიბერასტული ქარიშხალი მოჰყვა. ამ „ჭიქის ქარიშხალმა“ პარლამენტში, არასამთავრობოებში, მასმედიასა და ქუჩაში გადაინაცვლა... ატყდა ერთი ვაიუშველებელი... საპატრიარქოს დამამშვიდებელმა განცხადებამ ვერავინ დააწყნარა. მოხუცი, ბრძენი, მიმტევებელი, ავტორიტეტული, საყოველთაო მშვიდობის, შერიგების, ურთიერთგაგების მქადაგებელი, საქართველოში ყველა რელიგიის პატივისმცემელი პატრიარქი ლამის ფეხით გათელეს და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ლაფი შეასხეს.

განსაკუთრებით იაქტიურა არამზადა, ერისა და ქვეყნის მოღალატე ნაცისტების, მიშისტების, ამბიციური „რესპუბლიკური“ ავაზაკების გამცოცხლებელმა პანდორას ყუთმა, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის სიტყვითმკვლელებმა, „სეკულარულმა პინგვინებმა“ ნიკა გვარამიამ და გიორგი გაბუნიამ.

ძვირფასო მკითხველო, ვისაც არ გინახავთ, გირჩევთ, აღარ „დაატრიალოთ“ სულით ხეიბარ გიორგი გაბუნიას 8 დეკემბრის „არჩევანი“ და არ უყუროთ ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევარი ჩვენი მოსახლეობის მინიმუმ 90 პროცენტის ზღვარდაუდებელ ლანძღვა-გინებას, სამყაროს შემოქმედის უარყოფას, ჩვენი სულიერი ლიდერის, მთელი საპატრიარქოს, მთელი ქართული ეკლესიის და მისი ისტორიის აბუჩად აგდებას, დღევანდელი ღვაწლის დაკნინებას, ტყუილს, ტყუილს, უსინდისო ტყუილს!

ეკლესია და ხელისუფლება

დამიჯერეთ, ეს იყო „ცრუსთავი-2“-ის კიდევ ერთი ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული, ანტიქართული გადაცემა, ყველაზე თვითმარქვია, ყველაზე თავხედი, ყოველგვარი ზნეობრივი ნორმებისგან და ჟურნალისტური ეთიკისგან დაცლილი, გამიზნულად მოღალატური „თავისუფალი სიტყვის“ ომი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ.

მართლმადიდებლობას ტყუილმადიდებლობა უტევს!

მართლმადიდებლობას პროვინციული აზროვნება და უხამსობა უტევს!

მართლმადიდებლობას 30 გროშად გაყიდული ნაციონალები, რესპუბლიკელები და არასამთავრობოები უტევენ.

და ყოველივე ეს უკვე 10 წელიწადია, ჭირის ეპიდემიასავით ვრცელდება ანტისახელმწიფოებრივი კერძო ტელეკომპანიის „ცრუსთავი-2“-ის ეკრანიდან.

...ერთი იმ ქაჯი და უვიცი ბიზნესმენების ტვინში ჩამახედა, რომლებსაც „ცრუსთავი-2“-ის რეიტინგულობისა სჯერა და სარეკლამო თანხებს სტენის მიშავიზიას!

...მარტოოდენ ზაქარია ქუცნაშვილის და ლაშა ჟვანიას (კიდევ თითო-ოროლა მართალი, გულწრფელი ადამიანის) გაბედულება და პირდაპირობა რას გვიშველის, მთელი მრევლი უნდა აღდგეს!

მარტოოდენ დედაეკლესია კი არა, მთელი ქვეყანა განსაცდელშია. სიტყვითმკვლელებმა ბოლომდე აიშვეს!

სპარტაკ ქოზულია

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გაუქმება მომავალი წლის მეორე ნახევარში იგეგმება

ევროკომისია საქართველოსა და უკრაინისათვის სავიზო რეჟიმის გაუქმებას 2016 წლის მეორე ნახევრიდან აპირებს, — წერს გაზეთი Die Welt.

მისი ცნობით, ევროკომისია ხსენებულ ქვეყნებში რეფორმების მიმდინარეობაზე დადებითი ანგარიშის წარდგენასა და ამით სავიზო რეჟიმის გაუქმებისათვის „მწვანე შუქის“ ანთებას გეგმავს.

გაზეთი აღნიშნულ ინფორმაციას ბრიუსელის დიპლომატიურ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს. მათი ცნობით, ევროკომისამ 15 დეკემბრისათვის ანგარიში უნდა წარადგინოს, რომელშიც კიევისა და თბილისის მიერ ვიზის გაუქმებისათვის საჭირო მოთხოვნების შესრულება დადებითად იქნება შეფასებული. ამასთან, პუბლიკაციაში ისიც აღნიშნულია, რომ, ბრიუსელის მოსაზრებით, კიევს 2016 წლის გაზაფხულამდე ზოგიერთ სფეროში მუშაობის გაუმჯობესება მოუწევს, კერძოდ, ლაპარაკია კორუფციასთან ბრძოლაზე.

გაზეთის ცნობით, ქართველებისა და უკრაინელებისათვის სავიზო რეჟიმის გაუქმება ევროკავშირში ნახევარი წლის განმავლობაში 3 თვით უვიზოდ ყოფნას გულისხმობს.

რახან იპოთეკური სესხი დაფარა, ესე იგი ქრთამი აიღო

ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე გასამართლებულების ოჯახის წევრები თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბადრი კოჭლამაზაშვილის წინააღმდეგ საჩივარს შეიტანენ როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ასევე გენინსპექციაში და პროკურატურაში.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძის ოჯახის წევრებმა და ადვოკატმა თქვეს, მოსამართლემ ე.წ.კორტების სპეცოპერაციის საქმეზე განაჩენის სანაცვლოდ ათიათასობით დოლარის ოდენობით ქრთამი აიღო.

ამის დამადასტურებელ არგუმენტად კი გიორგი ცააძის და ირინა ცააძე ასახელებს იმ ფაქტს, რომ ბადრი კოჭლამაზაშვილმა წინმსწრებად 8 დეკემბერს დაფარა ორი იპოთეკური სესხი, რომელიც 2017 წელს უნდა დაეფარა.

„გვეგონა, რომ ბადრი კოჭლამაზაშვილი დამოუკიდებელი მოსამართლე იყო, თუმცა, როგორც ჩანს, მან განაჩენის სანაცვლოდ აიღო ათიათასობით დოლარის ოდენობის ქრთამი. მას ჰქონდა ორი სესხი, რომელიც გუშინდელი რიცხვით გადაფარა. გაჩნდა ეჭვი, რომ მას აღებული აქვს დიდი ოდენობით ქრთამი“, — განაცხადა ირინა ცააძემ.

საქმეზე გასამართლებული ირაკლი ფირცხალავას მეუღლის ინგა ხვიტიას თქმით კი, კოჭლამაზაშვილის განაჩენს პოლიტიკური მოტივი უდევს საფუძვლად.

„ეს არის პოლიტიკური განაჩენი, რომელიც 41 გვერდისგან შედგება. განაჩენი ემყარება სიყალბეს და ცრუ ჩვენებებს. სტრასბურგში თუ წაიკითხავენ ამ განაჩენს, შესაძლოა, მოსამართლეს თავზე დაახიონ“, — განაცხადა ინგა ხვიტიამ.

მისივე ინფორმაციით, ბადრი კოჭლამაზაშვილის ძმა პროკურატურაში მუშაობს, კერძოდ, ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორია.

ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, ე.წ.კორტების სპეცოპერაციის საქმეზე პროკურატურამ ცრუ მოწმეები მოიყვანა და არსებობს ეჭვი, რომ შესაძლოა ცრუ მოწმეებსაც ჰქონდეთ თანხა აღებული. ერთ-ერთი მოწმე კი, როგორც ადვოკატი ამბობს, ქვეყნიდან გაიყვანეს.

მარილა ცრუობს ელისაშვილი?

მთავარ პროკურატურაში პატიმრებისა და პოლიტპატიმრების სიებთან დაკავშირებით კორუფციულ გარიგებაზე ვერ დაიწყებოდა გამოძიება, რადგან ასეთი ჩვენება ბუნებაში არ არსებობს და ის ალეკო ელისაშვილს ჩვენთან შეხვედრის დროს არ უთქვამს, — განუცხადა ჟურნალისტებს პროკურორის მოადგილემ გიორგი გოგაძემ.

მისი თქმით, ალეკო ელისაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ შეხვდა მას და ყოფილ მთავარ პროკურორ გიორგი ბადაშვილს და პატიმრების შეწყალებასა და პოლიტპატიმრების სიებთან დაკავშირებით კორუფციულ გარიგებაზე ესაუბრა, სიცრუეა.

გოგაძის განცხადებით, ის ნამდვილად შეხვდა ალეკო ელისაშვილს, თუმცა სხვა საკითხზე.

„ეს ეხებოდა მის პირად საკითხს. მისი თხოვნის შესაბამისად გავაკეთეთ ეს შეხვედრა ახლობლის პრობლემის თაობაზე მისი სკოლის მასწავლებლის თუ დირექტორის, რომელიც ერთ-ერთ სისხლის საქმეში დაზარალებულად იყო ცნობილი და ითხოვდა დახმარებას, რათა მისი ახლობლის მიერ დაკარგული თანხის დაბრუნებაში პროკურატურა დახმარებოდა. ამ შეხვედრას ესწრებოდა ასევე იმ რაიონის პროკურორი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას ამ საქმეზე და ასევე ესწრებოდა ჩვენი სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსის მოადგილე“, — განაცხადა გოგაძემ.

მისივე თქმით, ელისაშვილთან შეხვედრაზე სიტყვა შეწყალების კომისია ნახსენები არ ყოფილა.

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი გუშინ მისი იმ განცხადების საფუძველზე დაკითხეს, რომლის თანახმადაც, ზოგიერთი პოლიტიკოსი პატიმრების შეწყალების სანაცვლოდ ფულს იღებს.

კერძო, ელისაშვილი ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ რამდენიმე მაღალჩინოსანი, მისი შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდში კონკრეტული პატიმრების შეწყალების მოთხოვნით მასზე ზეწოლას ახორციელებდა.

უცხოელი ინვესტორებიდან აზერბაიჯანელები პირველობას არ იმოობენ

საძსტატის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წლის III კვარტალში 489 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2014 წლის III კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე 33 პროცენტით ნაკლებია, ხოლო მიმდინარე წლის II კვარტალის წინასწარ მონაცემებს 38 პროცენტით აღემატება.

2015 წლის სამი კვარტალის განმავლობაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ 1019 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლთან შედარებით 17 პროცენტით ნაკლებია.

2015 წლის III კვარტალში უმსხვილეს პირდაპირი უცხოურ ინვესტორებს შორის პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 35 პროცენტით, მეორეზე — ნიდერლანდები 11 პროცენტით, ხოლო მესამეზე — თურქეთი 9 პროცენტით.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2015 წლის III კვარტალში 72 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 218 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 45 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 73 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე — მშენებლობა 63 მლნ. აშშ დოლარით.

კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● თოვლის ბაბუა, დასაქმებას, ლარის კურსს, ეკონომიკას, პოლიტიკურ სიტუაციას და ეგეთ რაღაცებს შენ ვერ მისედავ და ერთი კარგი მარცხენასაჭიანი მანქანა მაჩუქე (გაზზე) ტაქსის ტრაფარეტს მე თვითონ ვიშოვი.

● „რუსთავი-2“-ზე სამართლიანობის აღდგენის იდეის გასაპიარებლად გადის საქართველოს პროკურატურის რეკლამა და ამ რეკლამის მიზანი სტაჟიორების მოზიდვაა.

„რუსთავი-2“-ს რომ უყურებს (თან „კურიერს“), იქ გასული ნებისმიერი ინფორმაციის (დაწყებული კბილის ჯაგრისის რეკლამიდან და დამთავრებული კვესიტაძის „განსხვავებული აქცენტებით“) რომ სჯერა და პროკურატურაში სტაჟიორად რომ მივა, ნამდვილად აღდგება სამართლიანობა!!! (ვაი ჩვენს პატრონს. სმაილიკი).

ბიუჯეტიდან „რუსთავი-2“ში ამ რეკლამისთვის გადახდილ ფულზე აღარაფერს ვამბობ!

● „საპარტნიორო ფონდის“ მთავარი აღმასრულებლის („მთავარი აღმასრულებელი“ უძახე შენ და — საგანელიძეკი ყოფილა) ხელფასი — 21 000 ლარი;

კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ხელფასი — 16 640 ლარი;

სემეკის თავმჯდომარის — 12 000 ლარი;

იმავე კომისიის წევრების — 11 900 ლარი;

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის — 12 500 ლარი;

ჩემი პენსია — 160 ლარი;

ჩემი მეუღლის პენსია — 160 ლარი.

არადა, მამაძაღლი ვიყო, თუ ახლაც, ჩამოთვლილ კომისიებზე და ბანკებზე გაცილებით მეტ და კარგ საქმეს არ ვაკეთებდე ქვეყნისათვის.

აღარ ვსაუბრობ მეუღლის ბევრად სასარგებლო საქმიანობაზე.

რომელ პოეტს ვთხოვო სამართალია?!

● როგორ უნდა ვცემდე პატივს და რა სიკეთეს უნდა ველოდე ქვეყნისაგან, რომელსაც მეგობრად და სტრატეგიულ პარტნიორად თვლიან და დღენიადაგ მის სახელისუფლებო კაბინეტებში დაძრწიან: ხიდაშელი, ბოკერია, ბაქრაძე, კანდელაკი, ნადირაშვილი და სხვა, მსგავსი შეფერილობის ამხანაგები?!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ინფლაცია

ნოემბრის მაჩვენებელი 2011 წლის შემდეგ ყველაზე მაღალია

საქართველოში წლიური ინფლაციის დონე 2015 წლის ნოემბერში გაიზარდა და 6,3%-ია. ოქტომბერში ეს მაჩვენებელი 5.8 % იყო, სექტემბერში კი — 5,4 %. სტატისტიკური მონაცემებით, ნოემბრის ინფლაციის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 2011 წლის შემდეგ. ინფლაციის დონე შემცირებულია. თვიური თვალსაზრისით. „საქსტატის“ მონაცემებით, თვიური ინფლაციის დონე 2015 წლის ნოემბერში, ოქტომბერთან შედარებით, 0,8 %—დან 0,3 %—მდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ საშუალო ინფლაციის მაჩვენებელმა 3,8 % შეადგინა.

სტატისტიკური მონაცემებით, 2015 წლის აგვისტოში წლიურმა ინფლაციამ 3,2 % შეადგინა, ივლისში — 4,9 %, ივნისში — 4,5 %, მაისში — 3,5 %, აპრილში — 2,5 %, მარტში — 2,6 %, თებერვალში — 1,3 %, იანვარში — 1,4 %.

ეროვნული ბანკის პროგნოზით, ინფლაცია პიკს მომდევნო წლის პირველ კვარტალში მიაღწევს და სამიზნე მაჩვენებელს მომავალი წლის მეორე ნახევრიდან დაუბრუნდება. როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აცხადებს, ინფლაცია მცირედით გადასცდა სამიზნე მაჩვენებელს, თუმცა ეს პროგნოზირებადი იყო.

გიორგი ქადაგიძე განმარტავს, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარების იმ ზღვარზეა, როდესაც, ანგარიშებისა და პროგნოზების მიხედვით, ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი 2017 წლიდან 3 %-მდე ჩამოიწევს და საშუალოვადიანი მაჩვენებელი 3 % იქნება.

„ჩვენი სამიზნე მაჩვენებელი არის 5 %, რაც ითვლება ოპტიმალურად იმ ზომისა და განვითარების სტადიისთვის, რაშიც ჩვენ ვიმყოფებით. ინფლაცია ნიშნავს სამომხმარებლო ფასების საშუალო ზრდას. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა საქონელზე ფასი 5 %-დან 6 %-ითაა გაზრდილი. ზოგ საქონელზე მნიშვნელოვნად გაზრდილია, ზოგზე შემცირებულია, ზოგზე არაა ცვლილება, მაგრამ საშუალო ინდექსი არის 6 %-ზე ცოტა მეტი“, — განაცხადა ქადაგიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აცხადებს, რომ, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ამ ნაბიჯს გადადგამს, თუმცა დღეს ამის საჭიროებას ვერ ხედავს. აქვე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ლარზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები არის წელს გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგი, რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გამოძახილია.

შეგახსენებთ, რომ ეროვნული ბანკის ოქტომბრის ანგარიშის თანახმად, საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე მიმდინარე წლის ოქტომბერში 15.4 პროცენტი დაფიქსირდა. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 10.2 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე წლიური 19.9 პროცენტი დაფიქსირდა. ეროვნული ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთებმა ფიზიკური პირებისთვის შეადგინა 23.3 პროცენტი, ხოლო იურიდიული პირების სესხებზე — წლიური 13.6 პროცენტი.

ნინო ევგენიძე
რადიო „თავისუფლება“

◎ მისი დაბრუნება აუცილებელია!

„ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებამ შესაძლოა, ის გააკეთოს, რაც მას ეგონა, რომ პოლიტიკიდან წასვლით გაკეთდებოდა“

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების თემა დროდადრო აქტიურდება, როგორც ჩანს, ყოფილი პრემიერ-მინისტრის გუნდი საზოგადოებრივი აზრის მოსინჯვას ცდილობს, არჩევნებში წარმატების მოსაპოვებლად თუ რამდენად მნიშვნელოვანი, აუცილებელი ან გარდაუვალია ივანიშვილის იმიჯი და ავტორიტეტი.

გასულ კვირას თემა თავად „ქართულმა ოცნებამ“ გააქტიურა, კერძოდ, უმრავლესობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ზვიად ძიძიგურმა, რასაც ასევე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის გია ვოლსკის მხრიდან ძიძიგურის ვერსიის უარყოფა მოჰყვა. ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ კი ასეთი შესაძლებლობა არ გამორიცხა.

როგორც ჩანს, მოვლენები იმის მიხედვით განვითარდება, არჩევნების წინ რამდენად აუცილებელი გახდება ივანიშვილის ავტორიტეტი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ანუ რამდენად გაუჭირდება მმართველ გუნდს.

ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე მიიჩნევს, რომ ქვეყნის წინსვლისთვის უბრალოდ, აუცილებელია ივანიშვილის აქტიურ პოლიტიკაში ჩართვა.

— ბატონო ვახტანგ, თქვენი შეფასებით, რა შემთხვევაში შეიძლება გახდეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება აუცილებელი?

— როდესაც ივანიშვილმა პოსტი დატოვა, მაშინაც ვთვლიდი, რომ ეს არასწორი ნაბიჯი იყო. ვფიქრობ, განვლილმა პერიოდმა ეს დაადასტურა კიდეც. მოდით, საკითხი ასე დავსვათ -სჭირდება თუ არა, არამხოლოდ „ქართულ ოცნებას“, არამედ ზოგადად, ქვეყანას ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება? - ჩემი ღრმა რწმენით, ეს აუცილებელია.

თუ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებს უფრო ჩავუღრმავდებით, იგივე, პოლიტიკურ სპექტრში არსებულ ვითარებას და თუნდაც სქემატურ პროგნოზირებას გავაკეთებთ, თუ რა შეიძლება მოხდეს, ასეთი გადაწყვეტილება ივანიშვილმა, მგონია, აუცილებლად უნდა მიიღოს.

ვფიქრობ, ეს არჩევნების შემდეგ უნდა მოხდეს, რადგან ახლა მისი გაპრემიერება არა მგონია, საქმეს წაადგეს. ამის გარდა, ალბათ, აუცილებელი იქნება ამომრჩევლის წინაშე იდეოლოგიურად განახლებული პროგრამით წარდგომა. გარდა ამისა, მან ამომრჩეველს უნდა მისცეს პირობა, რომ შემდეგი ოთხი წელი აუცილებლად დარჩება პოლიტიკაში. ჩემი აზრით, ეს აუცილებელი ნაბიჯი იქნება იმისათვის, რომ ქვეყანაში სტაბილურობა იყოს შენარჩუნებული როგორც არჩევნებამდე, ისე არჩევნების შემდეგ და, რაც მთავარია, ქვეყანა ცოტა წინ წავიდეს, როგორც ეკონომიკურად, ასე ინსტიტუციურად. თუ ეს ყველაფერი ვერ მოხერხდა, ისევ იმ ჭაობში დავრჩებით, რომელშიც ვართ.

— როგორც ითქვა, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ხალხიც და ხელისუფლებაც ისევ ბელადის გარშემო არ ყოფილიყო გაერთიანებული და საზოგადოებაში დემოკრატიული მმართველობის განცდა, ინსტიტუციების მიმართ ნდობა გაჩენილიყო. თუ ამოცანა ეს იყო და აღნიშნული ფაქტორი, შესაბამისად, მოიხსნა, მუდმივად რატომ საუბრობენ ფარულ მმართველობაზე?

— ცხადია, არ მოიხსნა. მნიშვნელობა არა აქვს, ივანიშვილი მართლა ურეკავს პრემიერ-მინისტრს ან სხვა მინისტრებს და მითითებებს აძლევს თუ არა, ეს მეორეხარისხოვანია, რადგან მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მაინც თვლის, რომ ხელმძღვანელი დღეს არის ივანიშვილი და ყველა გადაწყვეტილებას ის ღებულობს... ანუ, მოსახლეობის აზრით, ის არის ფიგურა, რომელიც ხელისუფლებაზე, სახელმწიფოზე მაღლა დგას — ეს არის პრობლემა და ლიდერის წასვლა-მოსვლით მსგავსი პრობლემა არ გვარდება. ციხეში ყოფილან ლიდერები და მაინც ლიდერად დარჩენილან. გეოგრაფიული გადაადგილება ამ განწყობას ვერ ცვლის, შესაბამისად, ივანიშვილმა ვერ შეძლო თავისი წასვლით საზოგადოებაში ასეთი განცდის დამსხვრევა. ვიდრე ასეთი განწყობა იქნება მოსახლეობაში, ბუნებრივია, პოლიტიკურ ლიდერად დარჩება ბიძინა ივანიშვილი.

— ეს ხომ არ ნიშნავს, რომ პარტიებისა და პოლიტიკური პროგრამების ირგვლივ საზოგადოების გაერთიანება კვლავ ვერ ხერხდება, როგორც ეს დემოკრატიულ საზოგადოებაშია? როგორ ფიქრობთ, ჩვენი ქვეყნისთვის არ დადგა პოლიტიკური სიმწიფის დრო?

— ჩვენ ვერასდროს ვერ შევძელით ისე წაგვეყვანა საქმე, რომ ხელისუფლების ცვლილება რევოლუციით ან უკიდურესი დაძაბულობის ფონზე არ მომხდარიყო. ვერ მოვახერხეთ, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები არ გამხდარიყვნენ პოლიტიკური დევნის ობიექტი. ასეთ ვითარებაში თავისთავად ხდება გაერთიანება არა ლიდერისა და ბელადის, არამედ გმირის მიმართ, რომელმაც ძველი ხელისუფლება, რომელიც არის გველეშაპი, უნდა დაამარცხოს და დაამხოს. როდესაც ასეთი განცდაა საზოგადოებაში, წინა პლანზე მიდის ლიდერი და არა პროგრამები.

ახლა, შესაძლოა, მოხდეს გაერთიანება პროგრამების ირგვლივ, რადგან ასე ვთქვათ, დასამარცხებელი არავინ არის — ძალაუფლებაა შესანარჩუნებელი, მაგრამ ამისთვისაც არის საჭირო ლიდერი, თუმცა, არა მამა და მარჩენალი, ლიდერს სხვა ფუნქციები აქვს, მამა-მარჩენალს — სხვა. ამიტომ, თუ ივანიშვილი დაბრუნდება, მოხდება როგორც გუნდის, ასევე სახელმწიფო მიდგომების გადახალისება სხვადასხვა მიმართულებებით, ეს უკვე იქნება პროგრამის ირგვლივ გაერთიანება, ანუ სათავეში იქნება უკვე ლიდერი და არა მამა-მარჩენალი. შესაძლოა, ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებამ გააკეთოს ის, რაც მას ეგონა, რომ პოლიტიკიდან წასვლით გაკეთდებოდა.

— არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ შესაძლოა, ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას იმაზე ნაკლები ეფექტი ჰქონდეს, ვიდრე მას ჰგონია...

— როდესაც ვთქვი, რომ აუცილებელია მისი პოლიტიკაში დაბრუნება, თავისთავად ვიგულისხმე, რომ ეფექტი ექნება. თუმცა, ეს არ იქნება ის ეფექტი, რაც მას 2012 წელს ჰქონდა. ეს კარგად უნდა გაიაზროს ქართველმა საზოგადოებამაც და პოლიტიკურმა ელიტამაც — ის აღარ იქნება ის გმირი, რომელმაც პოლიტიკური მტარვალი უნდა დაამარცხოს და ქვეყანა გადაარჩინოს. ის იქნება ლიდერი და ამიტომაც საჭიროა მისი მობრუნება. მას აღარ ექნება ძველებური მხარდაჭერა, მაგრამ დღესაც აქვს და მომავალშიც ექნება ის რეიტინგი, რომელიც საჭიროა პოლიტიკური ლიდერისათვის.

— თუ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა არჩევნების პერიოდში, ან შემდეგ, ცხადია, მას არ მოუწევს პასუხისმგებლობის აღება იმ პრობლემებზე, რომელიც ოთხი წელია, მის მიერ მოყვანილი ხელისუფლების კრიტიკის საგანია... ვგულისხმობ ბიუჯეტში ხელის ფათურს, ანუ დაუსრულებელ პრემიებს თუ სახელფასო დანამატებს, ნეპოტიზმს, გაზრდილ ბიუროკრატიას, არაპროფესიონალიზმს და ა.შ. გამოდის რომ ამაზე პასუხი ქვეყნის ოფიციალურ ხელისუფლებას უნდა მოვკითხოთ?

— შეიძლება ბევრი იყოს, ვინც ამ საკითხებზე პასუხისმგებლობას აიღებს, მაგრამ შანსი, რომ არა მხოლოდ პასუხისმგებლობა აიღოს, არამედ გამოასწოროს კიდეც, აქვს ერთადერთ ადამიანს, ბიძინა ივანიშვილს — ამაშია პრობლემა. პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თუ არა? — რა თქმა უნდა, ეს პასუხისმგებლობა დღესაც აქვს, რადგან მას ხალხი ხელისუფლების ხელისუფლად აღიქვამს. არ მეგულება სხვა პოლიტიკური ლიდერი, რომლებიც სურვილის შემთხვევაშიც კი, ამ საკითხის მოგვარებას შეძლებენ. აქ მარტო ლიდერობაშიც არ არის საქმე, საჭიროა მექანიზმების შექმნა, რომ იმ ყველაფერს, რაც ხდება, წერტილი დაესვას და საზოგადოება გამოვიდეს იმ ჩაკეტილი წრიდან, რომელშიც იმყოფება.

— საარჩევნო დაპირებებსაც თუ გადავხედავთ, ბევრი რამ შეუსრულებელი დარჩა, მათ შორის, კოალიციის მთავარი წინასაარჩევნო დაპირება, რომელიც წართმეული ქონების დაბრუნებას ეხებოდა, გამოდის, ამაზე პასუხისმგებელიც დღევანდელი მთავრობა იქნება და არა ბიძინა ივანიშვილი?

— როდესახც ვამბობ, რომ ივანიშვილი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს, ვგულისხმობ, რომ უნდა დაბრუნდეს არჩევნების შემდეგ და არა ახლა. სხვა ყველაფერს გადაწყვეტს არჩევნები. რომელ პოლიტიკურ ძალასაც მხარს დაუჭერს მოსახლეობა, გამოდის, რომ მას ენდობა. თუ „ქართულ ოცნებას“ დაუჭერს მხარს, ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად არსებული პრობლემებისა, მას უცხადებს ნდობას. პასუხისმგებლობას არჩევნების დროს იღებს ხალხი. თუ ჩვენი საზოგადოება თვლის, რომ ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მმართველ პოლიტიკურ ძალას უარი უნდა უთხრას, ასეც მოიქცევა.

ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წასართმევი არაფერი აქვს და ამიტომ, არ მგონია, ამ დაპირების შეუსრულებლობა პრობლემად აღიქვას — თუმცა არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, რომ ეს მე არ მაწუხებს. მაწუხებს, ბუნებრივია, მაგრამ საქართველოს მოსახლეობა, ვინმეს ქონება დაუბრუნეს თუ არა, ამ ორიენტირით არჩევანს არ გააკეთებს. შესაბამისად, ყველა ხელისუფლება დაპირებებზე პასუხს იღებს არჩევნების დროს.

— ფიქრობთ, რომ ხალხი ივანიშვილს შეიძლება კიდევ ერთხელ ენდოს?

— მარტივად გეტყვით, 2012 წელს ივანიშვილს ხალხი იმდენად ენდობოდა, რომ მის მიერ დასახელებულ ნებისმიერ ადამიანს დაუჭერდა მხარს, რადგან სააკაშვილი იყო მოსაშორებელი. დღეს საკითხი ასე აღარ დგას. კი, არის შიში, რომ არ მობრუნდეს „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ ივანიშვილის ერთი სიტყვა აღარ იქნება საკმარისი, მას აუცილებლად დასჭირდება იდეოლოგიურად ახალი პროგრამა და განახლებული გუნდი, რომელიც ხალხის ნდობას დაიმსახურებს.

სულ გენიოსებიც რომ შეიყვანო პარლამენტში, პოლიტიკას თავისი წესები და კანონები აქვს, თუ არ იქნებიან ის სახეები, რომელსაც საზოგადოება იცნობს და მეტ-ნაკლებად, ნდობას უცხადებს, ძალიან რთულია მხარდაჭერის მოპოვება. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას გაუჩნდება შანსი, რომ მიიღოს უმრავლესობა, რასაკვირველია, საკონსტიტუციო უმრავლესობაზე არ არის საუბარი, ვგულისხმობ უმრავლესობას, რომელიც მმართველ გუნდს მთავრობის ფორმირების საშუალებას მისცემს.

ლალი ზირაქიშვილი

◎ ვინ — ვის?

კოალიციაში რესპუბლიკელების ყოფნა იმის ნიშანია, რომ კოალიცია დასავლურ კურსს არ უხვევს!

„ივერიონს“ რესპუბლიკელებისა და კოალიცია „ქართულ ოცნების“ განცხადებებზე, ექსპერტი მამუკა არეშიძე ესაუბრა.

— ბატონო მამუკა, რესპუბლიკური პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელი მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიციაში „პატრიოტთა ალიანსის“ შემოყვანას ცდილობს, რითაც რესპუბლიკურ პარტიას აიძულებენ, დატოვონ კოალიცია.

რესპუბლიკელთა აზრით, დღეს კოალიცია რესპუბლიკურ პარტიაზე დგას. ამასთან, მათ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით 2012 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში.

თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა რესპუბლიკელთა მხრიდან კოალიციის დატოვება და რა ფასად დაუჯდება ეს „ქართულ ოცნებას“?

— რესპუბლიკელთა მხრიდან კოალიციის დატოვება იმ მიზეზის გამო, რომ ვიღაცას ასე უნდა, მგონია გამორიცხულია. ვინაიდან, ეს ვიღაცა არაა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობიდან. ამაში დარწმუნებული იყავით!

შეიძლება, რიგითი წევრებიდან ზოგიერთმა გამოთქვა ამის სურვილი. მაგრამ, ის მიზეზი, თითქოს რესპუბლიკური პარტია ამის გამო აპირებს კოალიციის დატოვებას, უხეშ მიზეზად მიმაჩნია: მიზეზი, რომელიც ერთის მხრივ შეიძლება მუქარას შეიცავდეს, მეორეს მხრივ სხვა კონფიგურაციის ჩამოყალიბებაზე ფიქრს.

შესაძლოა, რესპუბლიკელებს სხვა პარტიებიდან აქვთ შემოთავაზება, მაგრამ ამაზე ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი.

რაც შეეხება იმას, თუ რას მოუტანს კოალიციას — კოალიციაში რესპუბლიკელების ყოფნა, გარკვეული ნიშანია იმისა, რომ კოალიცია დასავლურ პოლიტიკურ კურსს არ უხვევს. ყოველ შემთხვევაში, ასე დალაგდა სიტუაცია. შესაბამისად რესბუბლიკელების გასვლა ჩვენს პარტიებში გარკვეულ ეჭვს გააჩენს. სწორედ ამაშია, საქმე. მაგალითად, თავისუფალი დემოკრატების გასვლამ და მათ მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა გამოიწვია ვრცელი კულუარული მოლაპარაკებები, კითხვა-პასუხის რეჟიმში, ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არ მიმაჩნია, რომ ეს მოხდება. მგონია, რომ ეს უბრალოდ ერთგვარი ბრალდებებია ერთმანეთის მიმართ თავის დაზღვევის მიზნით და არა მგონია კოალიცია არჩევნებამდე დაიშალოს.

— კოალიციიდან გამოსვლის შემთხვევაში, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რა შანსები აქვთ რესპუბლიკელებს და სავარაუდოდ, ვისთან შეიძლება გაერთიანდნენ ისინი?

— ცალკე რესპუბლიკელებს არჩევნებში არავითარი შანსი არ აქვთ, მაგრამ ასეთ ნაბიჯს ისინი არასოდეს არ გადადგამენ. ეს ძალიან პრაგმატული პარტიაა. თუ მათ სხვა, მომგებიანი წინადადება არა აქვთ, ვთქვათ, რომელიმე პოლიტიკური ძალისგან, რომელთან გაერთიანების შემთხვევაში უკეთეს შედეგს მიაღწევენ. ისინი არავითარ შემთხვევაში არ გავლენ კოალიციიდან. საერთოდაც, დამოუკიდებლად მიუღწევიათ.

ვერ გეტყვით, თუ ვისთან შეიძლება ისინი გაერთიანდნენ. ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც არჩევნებში წარმატების მიღწევის სერიოზული შანსები აქვს, ასეთ პოლიტიკურ ძალას ჯერჯერობით რესპუბლიკის დასავლური ორიენტაციისა, ვერ ვხედავ, ამიტომ ვერ გეტყვით ვისთან გაერთიანდებიან. ასეთი ძალა არ ჩანს!

ესაუბრა
მედეა შელია

◎ საგარეო ვაჭრობა

ნაკლებს ვყიდულობთ, გაცილებით ცოტას ვყიდით...

იმ მრავალ უარყოფით შედეგს შორის, რომელიც ლარის გაუფასურებას მოყვა, საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობის შემცირებაა – როგორც ექსპორტში, ისე იმპორტშიც.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, წლევანდელ განვლილ ათ თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა (არაორგანიზებული ვაჭრობის მონაცემთა გაუთვალისწინებლად) 8,1 მილიარდი დოლარია, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩენებელზე 14 პროცენტით ნაკლებია. იმპორტი ექსპორტს დაახლოებით 3,5-ჯერ აღემატება: მის წილად 6,3 მილიარდი დოლარი მოდის, რაც შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10,3 პროცენტით ნაკლებია, ექსპორტის წილად კი – დაახლოებით 1,83 მილიარდი დოლარი (24 პროცენტით ნაკლები).

ამდენად, იანვარ-ოქტომბერში საგარეო ვაჭრობის უარყოფითმა სალდომ 4,5 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც მისი მთლიანი ბრუნვის 55 პროცენტია.

არადა, ბოლო დაახლოებით ექვსი წლის მანძილზე ჩვენი საგარეო სასაქონლო ვაჭრობა განუხრელად იზრდებოდა. ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებამ, ბუნებრივია, უარყოფითი ზეგავლენა იქონია ქვეყნის საექსპორტო მაჩვენებელზე, დოლარის მიმართ ლარის კურსის შემცირებას კი, უწინარესად, იმპორტული საქონლის ფასების მნიშვნელოვანი მატება მოჰყვა, რაც სავსებით ბუნებრივია. ამან კი, თავის მხრივ, მოხმარების შემცირება გამოიწვია, რაც ასევე არანაირად გასაკვირი არ არის: **როცა არც ხელფასების, არც პენსიების და არც სოციალური დახმარებების ინდექსაცია არ ხდება, გაზრდილი ფასების პირობებში მოსახლეობის მყიდველობითი უნარი დევალვაციის შესაბამისად მცირდება.**

ლარის კურსის ვარდნა, როგორც ცნობილია, შარშან წლის მიწურულისკენ დაიწყო, რაც მრავალი შიდა და გარე მიზეზით იყო გამოწვეული, რომელთა შესახებ ლაპარაკი არაერთგზის გვქონია, ამდენად გამეორებას აღარ შევუდგებით. ხაზს მხოლოდ ერთ გარემოებას გავუსვამთ – კერძოდ კი იმას, რომ შიდა და გარე მიზეზები (ვთქვათ, უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირება და ქვეყნის შიგნით მოსახლეობის გარკვეული მასის მყიდველობითი პოტენციალის კლება), გარკვეულწილად, ერთმანეთზეა გადაბმული და, საბოლოო ანგარიშით, ყოველივე ეს მთლიანად საგარეო სასაქონლო ვაჭრობაზე ერთიანად უარყოფითად აისახება. ბუნებრივია, რომ ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულია საგარეო ვაჭრობის საექსპორტო მდგენელის შესუსტება, რაც, უმეტესწილად, უწინ ორ უდიდეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში, **რუსეთსა** და **უკრაინაში** მიმდინარე უმწვავესი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური მოვლენებითაა გამოწვეული. საქმე იქამდეც კია მისული, რომ, კერძოდ, რუსეთში ადგილობრივ მოქალაქეებს დასვენებას ან მოგზაურობას საზღვარგარეთ, კი არა, ქვეყნის შიგნით ურჩევენ , რათა ვალუტა ნაკლებად გაედინოს(!). იქაური ეკონომიკური ვითარების გამოა, როგორც ჩანს, რომ რუსეთში ჩვენი ექსპორტის მთავარი პოზიცია – ღვინო – შარშანდელთან შედარებით თითქმის განახევრდა. ასევე საგრძნობლად შემცირებულია უკრაინაში ქართული პროდუქციის ექსპორტი, რაც, ვფიქრობთ, იქაური ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების პირობებში გასაკვირი სულაც არ არის.

სამაგიეროდ, გარკვეული წინსვლაა **ევროკავშირის ქვეყნებთან** საგარეო სასაქონლო ვაჭრობის მხრივ, კერძოდ, ექსპორტის მთლიანმა მოცულობამ 2 პროცენტით მოიმატა. მასზე რამდენადმე მეტად (6 პროცენტით) გაიზარდა იმპორტიც. ცალკეა აღსანიშნავი, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების ამოქმედების შემდგომ, გაერთიანების წევრ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები გაცილებით მოცულობითი გახდა და, დღესდღეობით, მათ წილად მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის თითქმის მესამედი (32 პროცენტი) მოდის. მათ შორის იმპორტის წილი 33 პროცენტია, ექსპორტისა – 29 პროცენტი.

ამის თითქოსდა „საპირწონედ“, წლეულს საგრძნობლად (22 პროცენტით) შემცირებულია სავაჭრო კონტაქტები ძველ პარტნიორებთან – **დსთ**-ს ქვეყნებთან, მათ შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებელია ექსპორტის მხრივ, რომელიც თითქმის განახევრებულია (-44 პროცენტი). შედარებით ნაკლებადაა შემცირებული იმპორტი (6 პროცენტით).

ისევე, როგორც მთელი ბოლო თვეების მანძილზე, საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორად კვლავ **თურქეთი** რჩება, რომელსაც **აზერბაიჯანი** და **ჩინეთი** მოყვება. თანაც, როგორც ვიცით, ყველაფერი, უმთავრესად, იმპორტის ხარჯზე ხდება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ექსპორტის შემცირებას ადგილობრივი წარმოების მუშაობის ინტენსიფიკაციის შენელება მოყვება, რაც, თავისთავად, ეკონომიკური ზრდის ტემპზე უარყოფითად აისახება. ამდენად, თითქმის ასპროცენტიანი დარწმუნებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური ზრდის წლევანდელი ინდიკატორული მაჩვენებელი – 5 პროცენტი – საბოლოოდ, 2 - პროცენტიან „მიდამოებში“ იქნება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ტრანსპორტი

რაც აქამდეც უნდა გაკეთებულიყო...

საწვავზე კონტროლი გაისად დაიწყება, მანქანებზე - 2 წლის შემდეგ



მომავალი წლიდან ნავთობპროდუქტების ხარისხზე სახელმწიფო კონტროლი დაწესდება. ამ დროისთვის მის ხარისხს არც ერთი უწყება არ აკონტროლებს და პროდუქციის შემოწმება თავად ბიზნესის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

2016 წლიდან საწვავის შესაბამისობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან, გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის სამსახურში არსებული დეპარტამენტი განახორციელებს. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, კომპანიები 8-დან 10 ათას ლარამდე დაჯარიმდებიან.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები გარემოს დაცვის სამინისტრომ მთავრობაში უკვე გადააგზავნა. სამინისტრო საწვავის ხარისხის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმს შემოიღებს და ავტოგასამართი სადგურების ეკომარკირება გაყიდული საწვავის ხარისხის მიხედვით მოხდება.

„გარემოს დაცვის თანამშრომლები ნავთობგასამართი სადგურებიდან და ნავთობბაზებიდან სინჯებს აიღებენ, რომლებიც გაიგზავნება აკრედიტებულ ლაბორატორიაში, მიღებული შედეგები კი ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის, დარღვევისათვის შესაბამისი სანქციები გატარდება, თუმცა მთავარი მიზანი ბიზნესის შევიწროება კი არაა, არამედ ის, რომ მოსახლეობას ჰქონდეს რეალური ინფორმაცია და უკეთესად გაიგოს უფრო ეკოლოგიურად სუფთა საწვავის მოხმარების აუცილებლობა“, – ამბობს გარემოს დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მთავარი სპეციალისტი ნოე მეგრელიშვილი.

საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, 2015 წელს 3-ჯერ შემცირდა გოგირდის შემცველობა ბენზინში და „ევრო-4“-ის სტანდარტს გაუთანაბრდა, 2016 წლიდან ბენზოლი და არომატული ნახშირწყალბადები უნდა გაუტოლდეს „ევრო-5“-ის სტანდარტს, 2017 წელს კი გოგირდი კვლავ 5-ჯერ უნდა შემცირდეს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ევრო-5“-ის სტანდარტთან. ასევე, დიზელის საწვავთან დაკავშირებით, 2016 წლიდან 50 ერთეულით უნდა შემცირდეს გოგირდის შემცველობა.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში ამბობენ, რომ კონტროლის ამოქმედების და ხარისხის დაცვის ინიციატივა მათგან მოდის.

საწვავის ხარისხთან ერთად, საქართველოსთვის კიდევ ერთი დიდი პრობლემაა ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება და მოძველებული ავტოპარკი. საქართველოში საავტომობილო პარკის 91% 10 წელზე მეტი ასაკისაა.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, 3 ტონა სრული მასის ზევით ყველა ტრანსპორტი ექვემდებარება ტექნიკურ დათვალიერებას, მათ შორის არიან ავტობუსები, მიკროავტობუსები, სატვირთოები. მსუბუქი ავტომობილები არ ექვემდებარება სავალდებულო ტესტირებას, ასეთი ავტომობილები კი მთლიანი ავტოპარკის დაახლოებით 85%-ს შეადგენს.

„120 ათასი სატრანსპორტო საშუალება უნდა გადიოდეს ტესტირებას, მაგრამ გადის, მხოლოდ, დაახლოებით, 20 ათასი. ყველა ასეთ სატრანსპორტო საშუალებას ფირნიში უნდა ჰქონდეს მიკრული საქარე მინაზე, ვადაგადასული ფირნიშის შემთხვევაში პატრული უნდა აჩერებდეს და აჯარიმებდეს“, – ამბობს ტესტირების ცენტრების გაერთიანების თავმჯდომარე ვაჟა იორდანიშვილი.

კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ტექდათვალიერება სავალდებულო გახდება 2017 წლის დეკემბრიდან. სავარაუდოდ, სწორედ ამ პერიოდიდან იგეგმება ძველი ავტოპარკის საკითხის მოწესრიგება. როგორ და რა მეთოდით აპირებს მთავრობა ასაკოვან მანქანებზე შეზღუდვის დაწესებას, ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ბექა დანელია

◎ დღევანდელობა და პროგნოზი

რამდენად „გავიზრდებით“ გაისად?

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მომავალი წლის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზებთან დაკავშირებით მორიგი ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა.

განვლილი ათი თვის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, რომელთა თანახმად საქართველოში ეკონომიკური ზრდა 2,5 პროცენტს შეადგენს, საბოლოო ნიშნულიც დაახლოებით ამ ფარგლებში იქნება. გაისისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტები საქართველოში ეკონომიკის უკვე 3,1-პროცენტიან ზრდის ტემპს ვარაუდობენ, 2020 წელს კი, მათი აზრით, სულაც 5-პროცენტიანი მატებაა მოსალოდნელი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მუდმივი წარმომადგენლის **აზიმ სადიკოვის** აზრით, საქართველოს ეკონომიკამ წლეულს, გარკვეული ნაბიჯების წყალობით, განვითარების 2-პროცენტიან ზღვარს აუცილებლად უნდა გადააბიჯოს.

– ქვეყანას უკეთესი პირობები აქვს ბიზნეს-გარემოს მხრივ ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმებით ამოქმედების გამო, ამდენად დიდი ალბათობით მოსალოდნელია, რომ მომდევნო ხუთი წლის მანძილზე საქართველოს რეგიონის სხვა სახელმწიფოებზე ეკონომიკური ზრდის უკეთესი მაჩვენებელი ექნება, – ასეთია ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტის აზრი.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების უფრო მაღალ ტემპს რამდენიმე ხელშემწყობი ფაქტორი აფერხებს, რომელთა შორის ბატონი სადიკოვი **საზოგადოებრივი მოხმარების დაბალ დონეს, ინვესტიციებისა და უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების მოცულობების შემცირებას გამოყოფს,** თუმცა, მისი აზრით, უაღრესად დადებით გარემოება ისაა, რომ, **ამის მიუხედავად, ეროვნული ეკონომიკის ზრდა მაინც მდგრადია,** იგი 2,5 პროცენტს აღემატება, რაც საერთაშორისო ორგანოების მიერ ივლისში გაკეთებულ საპროგნოზო მაჩენებელს აღემატება.

საგულისხმოა ასევე ბატონ აზიმ სადიკოვის აზრი იმის თაობაზე, რომ, მეზობელი **თურქეთისა** და **რუსეთისგან** განსხვავებით, საქართველოში ლარის გაუფასურება შედარებით უფრო რბილად მოხდა, რაც, უმეტესწილად, იმან განაპირობა, რომ **პროცესს მყისიერი ხასიათი არ ჰქონია და გაცილებით მდორედ წარიმართა.** ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ **საკმაოდ მწვავეა მოსახლეობაში ეროვნული ვალუტისადმი ნდობის საკითხი,** რაც დოლარიზაციის მაჩვენებელს სასურველზე მეტად ზრდის. მოსახლეობას საკუთარი ფულადი სახსრები დოლარებში გადააქვს, საბანკო კრედიტების აღებას კი ლარებით ცდილობს. სწორედ ამის გამოა, რომ სავალუტო ანაბრებზე საპროცენტო სარგებელი კომბანკებმა ბოლო ხანებში შეამცირეს, ლარებით გაცემულ კრედიტებზე კი საპროცენტო განაკვეთი გაზარდეს, რაც სავსებით გასაგებია – მოთხოვნა მიწოდების საფასურს ზრდის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშში, ცხადია, ეკონომიკური განვითარების ტემპებთან დაკავშირებით პროგნოზი ჩვენს უახლოეს მეზობლებთანა მიმართებაშიც კეთდება. იქაური ექსპერტების აზრით, გაისად **სომხეთში** ეკონომიკური ზრდის ტემპი 2,5, ხოლო **აზერბაიჯანში** – 4 პროცენტი იქნება.

მთლიანად რეგიონის ეკონომიკების განვითარებაზე ნეგატიური ზეგავლენის ფაქტორებად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი სამ გლობალურ შოკს ასახელებს. ესენია, კერძოდ, **მსოფლიო ბაზარზე ნედლ ნავთობზე ფასის მნიშვნელოვანი ვარდნა** (ბარელში 110-დან დაახლოებით 40 დოლარამდე), **საყოველთაო სავალუტო რყევები** და **რუსეთის ეკონომიკის რეგრესია,** სადაც გაისად მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 10-პროცენტიან შემცირებას ვარაუდობენ.

ფონდის სპეციალისტები თვლიან, რომ განვითარებული ქვეყნის ეკონომიკების გამოცოცხლება, მართალია, თავდაპირველად ნელი ტემპით, მაგრამ 2016 წლიდანაა მოსალოდნელი.

ნინო ალექსანდრია

პენსიონერებისადმი ნაციონალების „სიყვარულის ბუშტის გასკდომა“ ადვილად ასახსნელია...

სახელმწიფო ბიუჯეტი სულ უფრო სოციალური შეფერილობისა ხდება

კიდევ რამდენიმე დღე და საქართველოს პარლამენტი მიიღებს ქვეყნის 2016 წლის ძირითად ფინანსურ გეგმას – სახელმწიფო ბიუჯეტს. დასასრულს უახლოვდება მისი საპარლამენტო განხილვები და ის ვნებათაღელვა, რაც ტრადიციულად უკავშირდება სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების წინა პერიოდს. ტრადიციულად, ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, დაამტკიცონ მისი მოცულობის, შემოსავლებისა და ხარჯების პარამეტრების ოპტიმალობა, ოპოზიციონერები კი, ამის საპირისპიროდ, აკრიტიკებენ ბიუჯეტის პროექტს, მის სტრუქტურას, ზოგადად, მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას და აყენებენ საკუთარ, ხშირად რეალობას მოწყვეტილ და ეგზოტიკური დატვირთვის, პოპულიზმით გაჟღენთილ წინადადებებს.

ეს ხდება ყოველი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას. ხდება საქართველოშიც და ნებისმიერ იმ ქვეყანაში, რომელიც რეალური ან თუნდაც ფასადური დემოკრატიის ნიშნებს ავლენს და მამალი ავტორიტარიზმი კონსტიტუციურ ნორმად არა აქვს გამოცხადებული.

თუ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის პოლიტიკური ვნებათღელვის გარემოებებს ფრჩხილებს გარეთ გავიტანთ, დავინახავთ, რომ მას რამდენიმე გამორჩეული და საინტერესო ასპექტი გააჩნია. კერძოდ, 2016 წელს, **პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, გვექნება 10 მილიარდზე მეტი ლარის სახელმწიფო ბიუჯეტი,** პირველად ხარჯები განათლებაზე გადააჭარბებს მილიარდ ლარს, ხოლო მარტო საგარეო ვალების მომსახურებაზე ბიუჯეტიდან იმაზე მეტი რესურსი იქნება მობილიზებული, რამდენიც იყო სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი შემოსავალი 2000 წელს. 2016 წელს პენსიონერთა პენსია გადაჭარბებს ეროვნულ მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულთა 2005 წლის განკარგვად საშუალო ხელფასს (საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით), ხოლო სოციალური დაზღვევისა და უზრუნველყოფის ხაზით მომავალ, 2016 წელს დაიხარჯება 2,3 მლრდ. ლარი, რაც ფაქტობრივად, იმდენივეა, რამდენიც იყო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი შემოსავლები 2005 წელს.

ბიუჯეტის მასშტაბურობაზე საუბრისას მახსენდება ერთი ამბავი, რომლის მონაწილეც აღმოჩნდა „2003 წლამდელი“ პარლამენტის ერთ-ერთი წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს პარლამენტს გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის დელეგაცია ესტუმრა. საქმიანი საუბრების შემდეგ სტუმარმა მასპინძელს ჰკითხა:

– რამდენია თქვენი ბიუჯეტი?

მასპინძელმა ალაღად დაუსახელა იმდროინდელი საქართველოს ბიუჯეტის სიდიდე:

– დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარი.

გაკვირვებულმა სტუმარმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი პარლამენტის პომპეზური შენობის ინტერიერს და ასევე გულწრფელად იკითხა:

– კი მაგრამ, ყოფნის მერე 500 მილიონი ამხელა შენობას?!..

ასე რომ, პროგრესი ბიუჯეტის მოცულობის ზრდაში აშკარაა, იგი, რომ იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. თუმცა, ყველაფერი მაინც შეფარდებითია. – მართალია, **2000 წელთან შედარებით ბიუჯეტის შემოსულობები 16-ჯერ და მეტად გაიზარდა, დღეისათვის მათი მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო ევროპულ (EU28-ის საშუალო!) მაჩვენებელზე ასევე 16-ჯერ დაბალია.** თვით ბულგარეთიც კი, რომელიც ევროკავშირის სახელმწიფოთა შორის ყველაზე სუსტი რგოლია ეკონომიკური განვითარების მხრივ, საბიუჯეტო სახსრების მობილიზაციით მოსახლეობის ერთ სულზე, საქართველოს 2.4-ჯერ უსწრებს.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელია, ვილაპარაკოთ საქართველოს საბიუჯეტო ხარჯების ევროპული მასშტაბების უზრუნველყოფაზე – ამისათვის ჯერ ეკონომიკური პოტენციალი, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი უნდა იყოს „ევროპულ დონესთან“ მეტ-ნაკლებად მიახლოებული. ჯერჯერობით კი საქართველო აღნიშნული ინდიკატორით საშუალო ევროპულ მაჩვენებელს თითქმის 10-ჯერ, მათ შორის ბულგარეთს (ევროკავშირის „სუსტ რგოლს“) – 2-ჯერ ჩამორჩება.

გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ბოლო წლებში სოციალური ხარჯების წინმსწრები ზრდა ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების ზრდასთან შედრებით. საკმარისია ითქვას, რომ 2016 წელს საბიუჯეტო ხარჯები მოსახლეობის სოციალურ დაზღვევასა და უზრუნველყოფაზე, აგრეთვე განათლებასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, 2010 წელთან შედარებით გაორმაგდა, მაშინ როდესაც ბიუჯეტის ხარჯები იმავე პერიოდში – მხოლოდ 1.8-ჯერ. ბოლო 15 წლის მანძილზე სოცდაზღვევისა და უზრუნველყოფის ხარჯები ქვეყანაში გაიზარდა თითქმის 10-ჯერ, მათ შორის საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე - 43-ჯერ. **ჯერ კიდევ ამ 6-7 წლის წინ საქართველოს ბიუჯეტის ხარჯები სოციალური დანიშნულებით (განათლება და მეცნიერება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა და უზრუნველყოფა) მთელი საბიუჯეტო ხარჯების 1/3-ს ოდნავ აღემატებოდა. 2016 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი თითქმის ნახევარს – 48 პროცენტს მიაღწევს**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამჟამად რომ ბიუჯეტის ხარჯების 6-7 წლის წინანდელი სტრუქტურა ყოფილიყო შენარჩუნებული, სოციალური ხარჯების სიდიდე ბიუჯეტში დაგეგმილზე დაახლოებით 1.5 მილიარდი ლარით ნაკლები იქნებოდა. მართალია, ეს პროპორცია ჯერ კიდევ არ შეესაბამება საშუალო ევროპულ დონეს (ბიუჯეტში სოციალური ხარჯების წილი ევროკავშირში საშუალოდ დაახლოებით 70 პროცენტია) – ქვეყნის სუსტი ეკონომიკური პოტენციალის, გადასახადების ადმინისტრირების შედარებით დაბალი დონის, გარე გამოწვევისა და გეოპოლიტიკური რისკების გამო, მაგრამ განვითარების ვექტორი ცალსახაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბოლოოდ დაძლეულია ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე სოციალურ დანიშნულებაზე ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფის ე.წ. „მონარჩენული პრინციპი“, რომლის მიხედვითაც თავდაპირველად კმაყოფილდებოდა მმართველობისა და ძალოვანი სტრუქტურების მოთხოვნები, შემდეგ კი, „თუ რამე მორჩებოდა“ – სოციალური სექტორის მოთხოვნები. **ხარჯები განათლებაზე ჯერ კიდევ შვიდი წლის წინ 4-ჯერ ჩამორჩებოდა თავდაცვაზე გაწეულ ხარჯებს, ამჟამად კი მას 1.6-ჯერ და მეტად აღემატება.** სხვაგვარად, ხატოვნად რომ ვთქვათ, გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში აქცენტი თანდათანობით ძალის არგუმენტიდან არგუმენტის ძალაზე გადადის.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური ხარჯების ასეთი ზრდის პირობებში ქართული პოლიტიკური ოპოზიციის **მოთხოვნა პენსიების 50 ლარით გაზრდის თაობაზე ფაქტობრივად ღია კარის მტვრევას გავს.** პენსიონერებისადმი მათი „სიყვარულის ბუშტის გასკდომა“ ადვილად ასახსნელია. – **პენსიონერები არჩევნების დროს ყველაზე ორგანიზებული, დისციპლინირებული და ხმის მიცემისას ყველაზე აქტიური სოციალური კონტინგენტია, ამიტომ მათი თანაგრძნობის, სიმპათიების მოპოვება პოლიტიკური ბრძოლის ნაცადი და მრავალჯერადი გამოყენების ინსტრუმენტია.** ოპოზიციის საუბარი კი ყბადაღებულ პრემიებსა და სახელფასო დანამატებზე, რომლებიც იწირავენ პენსიების მატების შესაძლებლობებს, აშკარად ჰიპერტროფული და სპეკულაციურია. აღნიშნულის მიზანი ამჟამინდელი მთავრობის დისკრედიტაცია და ხელისუფლებაში დაბრუნებაა, ანუ ოპოზიციისათვის „მიზანი ნებისმიერ საშუალებას ამართლებს“. მათ, ფაქტობრივად, არა პენსიონერთა საერთო მდგომარეობა, არამედ მათგან წამოსასვლელი საარჩევნო ხმები აინტერესებთ.

ზოგადად, **პენსიონერებზე სახელმწიფოს რეალური ზრუნვის მასშტაბების შესაფასებლად უკვე აღარაა საკმარისი მხოლოდ საშუალო პენსიის სიდიდით აპელირება.** რა თქმა უნდა, არც წლევანდელი 160 და არც 180 ლარი მომავალი წლიდან, საკმარისი არაა პენსიონერთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. – ჩვენი პენსიონერები უფრო მეტ პენსიას და გაცილებით უზრუნველყოფილ სიბერეს იმსახურებენ. მაგრამ **პენსია ხანდაზმული მოსახლეობის სოციალური დაცულობის, დაზღვევის ძირითადი, თუმცა არა ერთადერთი ფორმაა.** გასათვალისწინებელია ის რესურსები, რომლებიც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საპენსიო ასაკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცულობის მხრივაც. პენსიონერთა სოციალური დაცულობის უზრუნველყოფაში სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს მათი ჯანდაცვის, სამედიცინო ხარჯების და მკურნალობის დაფინანსება, აგრეთვე ზრუნვა მათი აქტიური ცხოვრების პერიოდის გასახანგრძლივებლად. მაგალითად, **საყოველთაო ჯანდაცვის სიკეთით მოსარგებლეთა დიდი ნაწილი – დაახლოებით 2/3, საპენსიო ასაკის მოსახლეობაა.** გასათვალისწინებელია აგრეთვე დახმარებები კომუნალური ხარჯების დასაფარავად, რომლებიც რეგულარულად, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, გაეწევა დაბალშემოსავლიან მოსახლეობას და პენსიონერებს.

საქართველოში პენსიონერთა თითქმის 95% შრომისუნარიანი ასაკის ოჯახის წევრებთან ცხოვრობს, ამიტომ **მათ კეთილდღეობაზე და დოვლათის მოხმარების სიდიდეზე გავლენას პენსიის გაზრდაზე მეტად ოჯახის შრომისუნარიანი წევრების დასაქმება ახდენს**. მაგალითად, საშუალო პენსიის 30 ან თუნდაც 50-ლარიანი ზრდა პენსიონერის კეთილდღეობას გაზრდიდა მხოლოდ 1/4-1/3-ით, მაშინ, როდესაც საშუალო ოჯახში კიდევ ერთი წევრის დასაქმება (საქართველოში ყოველ მეორე ოჯახში არც ერთი შრომისუნარიანი წევრი არაა დაქირავებით დასაქმებული) გამოიწვევს პენსიონერის მოხმარების, კეთილდღეობის ფაქტობრივ გაორმაგებას. ამის საპირისპიროდ, **მთავრობის მეთაურმა, მინისტრებმა, მათმა „პირველმა“ თუ „რიგითმა“ მოადგილეებმა უარი რომ თქვან არა თუ პრემიებზე და ყბადაღებულ დანამატებზე, არამედ ხელფასებზეც, ანუ ყველა მათგანმა აბსოლუტურად უსასყიდლოდ რომ იმუშაოს და დაზოგილი თანხა გადასროლილ იქნას „საპენსიო უზრუნველყოფის ფრონტზე“, ეს პენსიონერის ერთი თვის პენსიას მხოლოდ 60 თეთრით თუ გაზრდიდა...**

კეთილდღეობის დონის დინამიკისათვის მედია-საშუალებები და ოპოზიციის წარმომადგენლები ხალისით აპელირებენ აშშ დოლარებში გადაანგარიშებული ხელფასებითა და პენსიებით, რაც აბსოლუტურად არაკორექტულია. – ხელფასები და პენსიები სამომხმარებლო ბაზარზე განკუთვნილია საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რომელთა ფასების დინამიკა საკმაოდ სუსტ კავშირშია ეროვნული ბანკის მიერ ქართული ლარის უცხოურ ვალუტასთან (აშშ დოლართან) დადგენილ კურსთან. მაგალითად, ბოლო 14 თვის მანძილზე (2015 წლის 30 ნოემბერს 2014 წლის 30 სექტემბერთან შედარებით) ქართული ლარი აშშ დოლართან დაახლოებით 34.6 პროცენტით დაეცა, მაშინ როდესაც ფასები, სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, მხოლოდ 8 პროცენტით გაიზარდა. ასეთი განსხვავების მიზეზი ისაა, რომ საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების, რომლებზეც მოდის საქართველოს იმპორტის თითქმის 3/4, ეროვნული ვალუტები აშშ დოლართან ასევე საგრძნობლად გაუფასურდა, რის გამოც ამ ქვეყნებიდან იმპორტი საქართველოში ნაკლებად გაძვირდა, ცალკეულ შემთხვევებში კი – გაიაფდა კიდეც. მაგალითად, 2015 წლის ნოემბერში 2014 წლის სექტემბერთან შედარებით აშშ დოლართან გაუფასურდა: ევრო – თითქმის 13 პროცენტით, სომხური დრამი – 24 პროცენტით, თურქული ლირა – 30 პროცენტით, აზერბაიჯანული მანათი – 33 პროცენტით, რუსული რუბლი – 47 პროცენტით, უკრაინული გრივნა – 52 პროცენტით... აღნიშნულმა გარემოებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამომხმარებლო ფასების მეტ-ნაკლები სტაბილურობა და საგრძნობი შეღავათი მისცა დაბალ და ფიქსირებულშემოსავლიან მოსახლეობას, მათ შორის, პირველ რიგში, პენსიონერებს.

რა თქმა უნდა, მიუხედავად წარმატებებისა, სოციალურ სფეროში და განსაკუთრებით, ქვეყნის ასაკოვანი მოსახლეობის დაცულობაში, მრავალი პრობლემა რჩება. სამწუხარო რეალობაა ის, რომ საქართველოში დღემდე არ მოქმედებს საპენსიო სისტემა და, ფაქტობრივად, **ის, რასაც ჩვენ პენსიას ვუწოდებთ, ეს უფრო სოციალური დახმარებაა.** აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია ქვეყანაში მოქმედებდეს სახელმწიფო ან კერძო საპენსიო ფონდები, რომლებშიც ადამიანები თავიანთი შრომითი საქმიანობის პერიოდში შეიტანდნენ გარკვეულ შენატანებს, იმ ანგარიშით, რომ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ ეს ფონდები მოახდენდნენ მათ სათანადო პენსიით უზრუნველყოფას, კონკრეტული პირების მიერ გამომუშავებული შრომითი სტაჟისა და ფონდებში განხორციელებული შენატანების სიდიდის პროპორციულად. ამის პარალელურად, სოციალური დახმარების ინსტიტუტი ძალაში დარჩება, ანუ ქვეყნის მოქალაქე საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მიიღებს საარსებო მინიმუმის ადეკვატურ თანხას, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მას განხორციელებული შენატანები საპენსიო ფონდში. სახელმწიფომ კი უნდა უზრუნველყოს თავისთავად არა კეთილდღეობა, არამედ თითოეული მოქალაქის დაზღვევა ინვალიდობისა და სიღატაკისგან. ამ კუთხით საპენსიო რეფორმა სულ უფრო აქტუალური და გარდაუვლად აუცილებელი ხდება.

იოსებ არჩვაძე,
2016 წლის დეკემბერი



სომხეთის ინტერესებს წიწილასავით ზედ მიაკლავენ!..

არ გამოვრიცხავ, რომ ყარაბაღის თემის წინ წამოწევა აწყობდეთ რიგ ქვეყნებს, რათა რუსეთის ეკონომიკა უფრო დაასუსტონ...

მთიანი ყარაბაღის ზონაში ვითარება დაიძაბა. დაპირისპირებულ მხარეებს შორის მორიგ შეიარაღებულ დაპირისპირებას მსხვერპლი მოჰყვა. კონფლიქტის ესკალაციის ფონზე გაიმართება აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრა. კონფლიქტის ზონაში დაპირისპირებას წინ უძღოდა თურქეთის პრემიერ-მინისტრის აპმეთ დავუთოღლუს განცხადება, რომ მთიან ყარაბაღში კონფლიქტის დასარეგულირებლად და რეგიონში მშვიდობის მისაღწევად, საჭიროა ოკუპირებული აზერბაიჯანული მიწების სრული გათავისუფლება. დავუთოღლუმ მოუწოდა სომხეთს, გაათავისუფლოს მიწები, რომელიც მას არ ეკუთვნის.

მიდის თუ არა პროცესები იმ კონდიციამდე, რომ გაიხსნას მესამე ფრონტის ხაზი და რა რეაქცია შეიძლება მოჰყვეს დავუთოღლუს განცხადებას თურქეთში, სადაც ძალიან ბევრი სომეხი ცხოვრობს? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge რამაზ სამვარელიძეს ესაუბრა.

— დავუთოღლუს განცხადებიდან რამდენიმე საათში ვითარება დაიძაბა მთიანი ყარაბაღის ზონაში. დაძაბული თურქულ-რუსული ურთიერთობის ფონზე, პრემიერის გზავნილის ადრესატი არის სომხეთი, თუ რუსეთი, რომელიც ამ შემთხვევაშიც არის კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე?

— რასაკვირველია, რომ ეს არის რუსეთის საყურადღებოდ გაკეთებული განცხადება, რომელიც მიუთითებს იმაზე, თუ რა პოზიციის დაკავებას იწყებს ამ კონფლიქტის შემთხვევაში თურქეთი.

— ამ განცხადებით თურქეთმა რუსეთს აგრძნობინა, რომ კიდევ ერთ საკითხში იქნება მწვავე დაპირისპირება მათ შორის?

— რა თქმა უნდა. იმის მიუხედავად, რომ პუტინი უფრო ომახიანი იყო და ფაქტობრივად, გაამწვავა დაპირისპირების თემა და უკომპრომისო იყო, მისი პოზიციები საკმაოდ სუსტია. თურქეთი არის ნატოს წევრი ქვეყანა და თუკი დაპირისპირება მოხდა, ამ დაპირისპირებაში თურქეთი მარტო არ იქნება.

— გამოჩნდა კიდევაც, რომ ამ დაპირისპირებაში თურქეთი მარტო არ არის. ალიანსი წევრი ქვეყნები აცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ თურქეთს, რაც ერთგვარი სიგნალია ალბათ, რუსეთისთვის...

— ასეთივე სიგნალია რუსეთისთვის, რომ მისი ბრალდება, თითქოს თურქეთი ნავთობს „ისლამური სახელმწიფოსგან“ ყიდულობს, მყარ საფუძვლებს არ ეყრდნობა. ვნახეთ ქურთისტანის რეაქცია, რომ ეს ჩვენი სატრანპორტო საშუალება იყო და რატომღაც თურქეთს მიაწერესო. ანუ, სხვადასხვა საკითხებში ნელ-ნელა წყალი უდგება რუსეთის პოზიციებს. გარდა ამისა, რუსეთს ორი ომი აქვს წამოწყებული, თუ მესამე დაპირისპირებამაც სამხედრო კონფლიქტის სახე მიიღო, ეს რუსეთის ეკონომიკისთვის კიდევ უფრო მეტი ტვირთი იქნება და საერთოდ, რუსეთი ეკონომიურად ვერ გაუძლებს ამ პროცესს.

— პროცესები მიდის იმ კონდიციამდე, რომ გაიხსნას მესამე ფრონტის ხაზი?

— არც იმას ველოდით, რომ რუსეთი, როგორც თვითონ იძახდა თავის სისხლს და ხორცს — უკრაინას გადაიმტერებდა. ყველაფერს ელოდა ანალიტიკური საზოგადოება, გარდა ამ დაპირისპირებისა, თვითონ რუსული საზოგადოებისთვისაც მოულოდნელი იყო, მაგრამ ვნახეთ, რომ ასეთ მოულოდნელ ნაბიჯზე წავიდა პუტინი. უშუალოდ პუტინის ხასიათისა და მისი მართვის სტილის გამოხატულება იყო კონფლიქტზე წასვლა. მე მგონია, რომ პუტინი წამსვლელია ახალ კონფლიქტზე. უკან დასახევ გზებს რომ იჭრის ადამიანი, სწორედ, რომ ანალოგიურ ნაბიჯებს დგამს რუსეთის პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე. მისი ქვეყნისთვის უკან დასახევი გზები ნელ-ნელა მცირდება.

— თურქეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კონფლიქტის დარეგულირების საკითხში თურქეთი აზერბაიჯანს დახმარებას ყოველთვის გაუწევს. ტერიტორიების სრულ გათავისუფლებამდე თურქეთი აზერბაიჯანის გვერდით იქნება, დამეთანხმებით, რომ საკმაოდ ხმამაღალი განცხადებაა, რა რეაქცია შეიძლება მოჰყვეს დავუთოღლუს განცხადებას თურქეთში, სადაც ძალიან ბევრი სომეხი ცხოვრობს?

— ნაკლებად მოსალოდნელია მეორე გენოციდი. უბრალოდ იმიტომ, რომ მსოფლიო არის სხვანაირი და არა იმიტომ, რომ თურქებს სიმპათიები აქვთ სომხების მიმართ. ევროპის კარებთან არის მიმდგარი თურქეთი და ახალა ისეთი ნაბიჯს არ გადადგამს, რომელიც შუა საუკუნეებისკენ დააბრუნებს თურქეთს. ამ კონფლიქტში წამყვანი თემა თურქულ-რუსული ურთიერთობაა, სომხეთის ინტერესებს, როგორც წიწილას ისე მიაკლავენ ამ თემას. მით უმეტეს, რომ თურქეთი და აზერბაიჯანი პარტნიორები არიან. საერთოდ, რუსულ-თურქულმა ურთიერთობებმა და დღევანდელმა მდგომარეობამაც შეიძლება გავლენა მოხდინოს აფხაზეთზეც.

— რა თვალსაზრისით?

— იმდენად, რამდენადაც ოკუპირებული აფხაზეთი ამ სახელმწიფოებთან პარტნიორობაზეა დაყრდნობილი. თუ ამ ორმა საყრდენმა ერთმანეთთან ომი დაიწყო, რა თქმა უნდა, აფხაზეთი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. მით უმეტეს, რომ ყარაბაღთან მას თავისი ე.წ. დიპლომატიური ურთიერთობები აქვს — არაღიარებული ქვეყნების სოლიდარობა აკავშირებთ.

თუ თურქეთმა მძაფრი პოზიცია დაიკავა ყარაბაღის მიმართულებით, ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთთან მიმართებაშიც იგივე პოზიცია უკავია. თურქეთის ასეთი პოზიცია აფხაზეთისთვის დისკომფორტის შემქმნელია. ბევრი პრობლემური საკითხები წამოიჭრება, თუკი პროცესები ისე განვითარდება, როგორც დღეს არის.

— გარდა იმისა, რომ მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებენ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირში, არის მუქარებიც. ფაქტია, რომ სირიის მიმართულებით რუსეთ-თურქეთის პოზიცია თანხვედრაში არ არის. პრაქტიკულად, სირიის ფრონტზე რუსეთი მარტო დარჩა, ამ ფონზე შესაძლებელია, რომ რუსეთმა პროცესი გაამწვავოს ყარაბაღის მიმართულებით?

— არა მგონია, რომ ყარაბაღის თემის წამოწევა ხელსაყრელი იყოს რუსეთისთვის, რომელსაც თავისი გასაჭირი აქვს. რიხიანი განცხადებები გასაკვირი არ არის, მაგრამ თუკი ეკონომიკის თვალით შევხედავთ, რუსეთი ყველაზე უფრო ნაკლებად არის მზად ახალი პრობლემის გაჩენისთვის.

თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ყარაბაღის თემის წინ წამოწევა აწყობდეს რიგ ქვეყნებს და არიან ასეთები, რომელთაც, რაც შეიძლება მეტ კონფლიქტში სურთ რუსეთის ჩართვა, რათა საომარ მოქმედებებში მისი ეკონომიკა კიდევ უფრო დაასუსტონ.

ამ შემთხვევაში ყარაბაღის კონფლიქტს ის თავისებურება აქვს, რომ ნატოს ფრთის ქვეშ მყოფი ტერიტორია არ არის და დასავლეთს არ აიძულებს, ჩაერთოს სამხედრო ოპერაციაში, რუსეთის ეკონომიკას კი აიძულებს, კვებოს ყარაბაღის კონფლიქტი.

— რუსეთის ეკონომიკაზე პირველი დარტყმა არის თურქეთის გადაწყვეტილება, რომ ის უარს ამბობს რუსულ გაზზე? აზერბაიჯანული მედია წერს, რომ TANAP საშუალებას მისცემს თურქეთს, გაზარდოს იმპორტირებული აზერბაიჯანული გაზის მოცულობა 6 მილიარდი კუბური მეტრით ყოველწლიურად. ტრანსნაციონალური გაზსადენი თურქეთზე გაივლის საქართველოს საზღვრიდან თურქეთ-საბერძნეთის საზღვრამდე. ამ გაზსადენზე მიწოდება დაგეგმილია აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან, საქართველოს გავლით თურქეთში და შემდეგ — ევროპაში...

— ნებისმიერი ეკონომიკური ნაბიჯი დაწყებული ხილ-ბოსტნეულის ბლოკირებით და დამთავრებული ასეთი მსხვილი პროექტის ბლოკირებით, პირდაპირი დარტყმაა რუსეთის ეკონომიკაზე. თურქეთის მხრიდან სურსათის ბლოკირებამ რუსეთი იძულებული გახდა, რომ ეგვიპტიდან და სხვა უფრო შორეული ქვეყნებიდან შემოიტანოს იმავე ტიპის სურსათი, რაც შემოჰქონდა თურქეთიდან. ეს თითქოს უმნიშვნელო ეკონომიკური ნაბიჯი ურტყამს რუსი მოქალაქის ჯიბეს, შესაბამისად, ეს საკითხი შეიძლება ეკონომიკური უკამყოფილების სტიმული გახდეს. ამდენად, ამ პროცესში ჩართული თითქმის ყველა დეტალი ეკონომიკაზე გადის.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

ეროვნული უმცირესობების განათლების დონის ასამაღლებლად

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ეთნიკური უმცირესობების განათლების პოლიტიკის დოკუმენტი შეიმუშავა. განათლების პოლიტიკა ეხება როგორც სკოლამდელ, ისე სასკოლო, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას, ასევე, პედაგოგური კადრებით უზრუნველყოფას.

დოკუმენტის განხილვისა და სრულყოფის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, სამდღიანი კონფერენცია გაიმართა, სადაც ეთნიკური უმცირესობების განათლების პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია განიხილეს. კონფერენციის მიზანი იყო ამ სფეროში სამინისტროს მიერ ბოლო წლებში ჩატარებული ანალიტიკური სამუშაოების, განხორციელებული კვლევების შედეგების ანალიზი, ასევე, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის სამოქმედო გეგმისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

მოწვეულ საერთაშორისო ექპერტებთან ერთად განათლების სფეროს წარმომადგენლებმა, განხორციელებული და მიმდინარე პროგრამებისა და პროექტების ძლიერი და სუსტი მხარეები შეაფასეს, იმსჯელეს ჯერ კიდევ არსებულ გამოწვევებზე, მათი გადაწყვეტის გზებზე. რეკომენდაციები ეხებოდა იმგვარი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც თანაბრად მოიაზრებს როგორც შესაბამისი ინსტიტუციების, ისე სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობასა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერას.

შტატგარეშეებით გაბერილი საბიუჯეტო ორგანიზაციები

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ, 78 საბიუჯეტო ორგანიზაციიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 63 ვერ აკმაყოფილებს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით დადგენილ ლიმიტს შტატგარეშე მოსამსახურეების რიცხოვნობის შესახებ. როგორც ორგანიზაციის კვლევაშია ნათქვამი, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციები კანონს არღვევენ, რადგან 2015 წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის თანახმად, უწყებას შეუძლია მთავრობას მიმართოს ლიმიტის გაზრდის თაობაზე.

„შესწავლილი 79-დან, 61 უწყებას მთავრობის მიერ თანხმობა ჰქონდა შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდაზე“, — ნათქვამია კვლევაში, რომლის მიხედვითაც, საბიუჯეტო ორგანიზაციებში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობის დასაშვებ, საშტატო რიცხოვნობის 2 %-ს განსაკუთრებით აჭარბებენ: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (1935%) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (1024 %), ციფრული მაუწყებლობის სააგენტო,(450%), განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი (406%) და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციები.

„როდესაც 79 საბიუჯეტო ორგანიზაციიდან 61-ს საგრძნობლად გაზრდილი აქვს ლიმიტი, ეს მოვლენა უფრო წესად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე გამონაკლისად და რეალურად 2015 წლის (ისევე როგორც 2014 და 2013) ბიუჯეტის შესახებ კანონში ჩაწერილი ეს ნორმა, როგორც კვლევიდან ჩანს, არანაირ ბარიერს არ წამოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის, მრავალჯერ გაზარდოს შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნობა. შტატგარეშე მოსამსახურეების დაუსაბუთებელი ზრდა მიმდინარეობს იმ ფონზე, როდესაც ყოველ წელს იზრდება ბიუჯეტში საშტატო საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა“, - ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, საკუთარ განკარგულებებში დაასაბუთოს, რა მიზეზით აძლევს საბიუჯეტო ორგანიზაციას თანხმობას, გადალახოს კანონით დადგენილი შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნობაზე დაწესებული ზედა ზღვარი.

ხი-ეიბ-ენი, მედიანიუსი



გამოხატვის თავისუფლება ფუნდამენტური უფლებაა!

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე სოსო ჯაჭვლიანი პარლამენტში „დემოგრაფიული განვითარების ფონდის“ დირექტორის ზვიად ტომარაძის (რომელიც ბიზნესმენ ლევან ვასაძესთან დაახლოებული პირია) იდეების გამხმოვანებლად იქცა.

სოსო ჯაჭვლიანი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების თვალსაზრისით, ბოლო სამი თვის განმავლობაში გააქტიურდა. კანონმდებლის მიერ წარდგენილი სამი პროექტიდან ორი კანონპროექტი რელიგიურ საკითხებს ეხება, მათ შორის – ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონიდან „გენდერული იდენტობისა“ და „სექსუალური ორიენტაციის“ ამოღებას და რელიგიური სიწმინდეებისა და ღვთისმსახურის შეურაცხყოფისთვის ფულადი ჯარიმების დაწესებას გულისხმობს.

მართალია, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა“ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონების ინიციატორი სოსო ჯაჭვლიანია, მაგრამ ცვლილებების ავტორი ზვიად ტომარაძეა.

დეპუტატი უწყებაში ტომარაძის იდეების გამხმოვანებლად რატომ იქცა? ატარებს თუ არა ეს პოლიტიკურ დატვირთვას და რა მიზნებს ემსახურება?

უმრავლესობის წევრთა დიდმა ნაწილმა ჯაჭვლიანის გააქტიურებაზე შეფასებების გაკეთება არ ისურვა, თუმცა, გამონაკლისი რამდენიმე დეპუტატმა დაუშვა. საუბარში ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის მოადგილე **თამარ კორძაია** აცხადებს, რომ ამ ცვლილებების მომზადება არათუ პოლიტიკურად, არამედ სამართლებრივადაც არ არის მიზანშეწონილი, რადგან ის აშკარად, პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს.

კორძაია ფიქრობს, რომ ცვლილებების პათოსი ჯაჭვლიანის მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულებაა ამ საკითხების მიმართ.

– ის მონაპოვარი, რაც საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით აქვს, შენარჩუნებული უნდა იყოს. ჯარიმების დაწესება და ანტიდისკრიმინაციულ კანონში ცვლილებების შეტანა უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება და ვფიქრობ, რომ ამას პარლამენტი არც ერთ შემთხვევაში არ გაიზიარებს. რაც შეეხება სიძულვილის ენის კრიმინალიზაციას, ეს დიდი ხნის დისკუსიის თემაა და ამ ტიპის გადაწყვეტილებების მიღება მარტივი არ არის. თუკი სიძულვილის ენის კრიმინალიზაციას მხოლოდ რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებაში ვახდენთ, ეს დისკრიმინაციული დამოკიდებულებაა. ამ კანონს დასაბუთება სერიოზულად აკლია და ის გაზიარებული არ უნდა იქნეს, – დასძენს კორძაია.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, წინა პლანზე რელიგიური თემები გამოდის

თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილი** კი, ჯაჭვლიანის პოლიტიკური მოტივების შეფასებას თავს არიდებს. სესიაშვილი ყურადღებას ცვლილებების არსობრივ მხარეზე აკეთებს და ამბობს, რომ თუკი დეპუტატის ინიციატივა კეთილ მიზანს ემსახურება, ის პოლიტიკურად მოტივირებულია თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს – პოლიტიკოსს საკუთარი მიზნები ყოველთვის გააჩნია, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა.

– ინიცირებული პროექტი შესაძლოა, რაღაც საკითხის დარეგულირებასაც ემსახურებოდეს და, ამასთანავე, გარკვეულ პოლიტიკურ ინტერესსაც ატარებდეს. ამაში ცუდი არაფერია, რადგან სხვა შემთხვევაში პოლიტიკოსი საკუთარ შესაძლებლობებს ვერ გამოავლენს. ამ ინიციატივაში ცნებები შესაძლოა, დასახვეწი იყოს, ხოლო პრინციპი მისაღებია, რომ რელიგიის თავისუფლება დაცული იყოს და რელიგიური სიწმინდეების შეურაცხყოფა პრევენციულად დაცული იქნეს, – აცხადებს სესიაშვილი, რომელიც პროექტის მხარდაჭერას არ გამორიცხავს.

უმრავლესობის ლიდერი **ზვიად კვაჭანტირაძე** კი ირწმუნება, რომ საკითხი არ შეუსწავლია, პოლიტიკურ მხარეზე კი, მეტ კომენტარს ვერ გააკეთებს.

თანაგუნდელების მსგავსად, ცვლილებების განხილვას ელოდება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **გედევან ფოფხაძე,** რომელიც ამბობს, რომ მას ამ თემებზე საუბარი როგორც ჯაჭვლიანთან, ასევე ტომარაძესთან ჰქონდა. ფოფხაძის მოსაზრებით, ცვლილებების მიღება პრობლემას არ წარმოადგენს, თუკი ასეთი საზოგადებრივი საჭიროება არსებობს.

– სასულიერო პირებს შეურაცხყოფა რომ არ უნდა მივაყენოთ, ისედაც ვიცით. არ მგონია, ეს ყველაფერი პოლიტიკური თამაში იყოს და რაღაც მიზნებს ემსახურებოდეს. ზვიადისთან და სოსოსთან საუბარი მქონდა და რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებაში ინტერესია, რომ ეკლესიის მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებები არ გაკეთდეს. არ შეიძლება, განსხვავებული რელიგიური შეხედლებების გამო ვიღაცა ვიღაცას თავს დაესხას, – დასძენს ფოფხაძე.

პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი** კი ფიქრობს, ცვლილებების უკან პოლიტიკური წიაღსვლები არ უნდა მოიძებნოს. ვისურვებდი, რომ კანონპროექტის დეტალებში ჩავიდეთ და თვალი იმან არ მოგვჭრას, რომ ეს რელიგიურ საკითხებს ეხება. გამოხატვის თავისუფლება ძალიან ფუნდამენტური უფლებაა, მაგრამ ეს აბსოლუტური უფლება არ არის. ქვეყნებია, სადაც რაღაც საკითხზე განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმა, მაგალითად, გენოციდზე სისხლის სამართლის დანაშაულია. არ მგონია, რომ ეს კანონპროექტი ერთ კვირაში კანონად იქცეს.

* * *

პარლამენტის პროცედურების შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებების განხილვა საგაზაფხულო სესიიდან დაიწყება და ჯაჭვლიან-ტომარაძეს საკუთარი ინიციატივების დასაცავად მყარი არგუმენტების წარდგენა მოუწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ პროექტებისთვის მწვანის ანთება გაუჭირდებათ.

რაც შეეხება ე.წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონს, მის წინააღმდეგ გუნდში ჯაჭვლიანი გამოდიოდა, მაგრამ კენჭისყრის დროს, მან უსუფაშვილს უთხრა, მისი ხმა მიღებული ხმებისთვის „მიეთვალა“. სპიკერმა შედეგებს მიათვალა თუ არა ჯაჭვლიანის ხმა, უცნობია, მაგრამ ჯაჭვლიანმა ეს საკითხი განსახილველად ერთი წლის შემდეგ წამოსწია.

თეონა მანაგაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ნინო სურგულაძე იტალიის ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა

საქართველოს პრეზიდენტი იტალიის ელჩის რეზიდენციაში გამართულ მიღებას დაესწრო. იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლიმ მეცო-სოპრანო ნინო სურგულაძეს საქართველოსა და იტალიას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისთვის გაწეული ღვაწლისთვის იტალიის ვარსკვლავის ორდენი გადასცა.

ცნობილმა მეცო-სოპრანომ საპატიო სტუმრებისათვის რამდენიმე ქართული და იტალიური საოპერო არია შეასრულა. ღონისძიებას, რომელიც იტალიის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად

საქართველოს კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანი თენგიზ ფხალაძე, ასევე კულტურის სფეროს წარმომადგენლები და საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი იტალიელი მედიკოსების ჯგუფი დაესწრო.

უპილოტო საფრენი აპარატი აეროგადაღებებისთვის

საბჭარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ აეროგადაღებების წარმოებისა და ორთოფოტოების შესაქმნელად ინოვაციური უპილოტო საფრენი აპარატი „დრონი“ შეიძინა.

„დრონის“ დახმარებით შესაძლებელი გახდება მცირე მასშტაბის ტერიტორიების ოპერატიული გადაღება და ახალი ტოპოგრაფიული მონაცემების კიდევ უფრო სწრაფად მიღება.

უპილოტო საფრენი აპარატის მეშვეობით, საჯარო რეესტრი, როგორც ქვეყნის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული საქმიანობის განმახორციელებელი მთავარი ორგანიზაცია, შეძლებს კიდევ უფრო მარტივად აწარმოოს მაღალი ხარისხის მონაცემები, მოქნილად და სისტემატურად განაახლოს ისინი, ოპერატიულად დააკმაყოფილოს საკუთარი თუ სხვა უწყებების მოთხოვნები.

უპილოტო საფრენი აპარატი მოქმედებაში მოყვანის შემდეგ, წინასწარ დაგეგმილ მარშრუტს გადის და განსაზღვრულ დროში სასურველ ტერიტორიას იღებს. მას ერთი სამუშაო დღის განმავლობაში 35-40 კვ/მ ფართობის გადაღება შეუძლია. „დრონი“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების, კრიზისების მართვის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ენერგეტიკის, საინჟინრო და ინფრასტრუქტურული დარგებისთვის.

უპილოტო საფრენი აპარატის შეძენა განხორციელდა პროექტის – „რუკები მიწის მდგრადი მართვისთვის – საქართველოს ორთოფოტო“-ს ფარგლებში, რომელიც საჯარო რეესტრმა 2015 წლის იანვარში ნორვეგიის კარტოგრაფიის ორგანოსთან (STATENS KARTIERK) ერთად დაიწყო.

პროექტი „რუკები მიწის მდგრადი მართვისთვის – საქართველოს ორთოფოტო“ 2017 წლის ზაფხულამდე გაგრძელდება. სულ იგი 40 ათასი კვადრატული მეტრის ტერიტორიის აეროფოტოგადაღებას მოიცავს. პროექტის საერთო ღირებულება 1725 000 ევროა. აქედან ნორვეგიის მთავრობის გრანტი 1 420 000 ევროა, სააგენტოს შენატანი კი- 305 000 ევრო.

კონტრაქტორი კომპანია შავ სიაში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ და ადმინისტრაციული წარმოების სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა სამშენებლო კომპანია შპს „მაჭარაშვილი&კომპანია 2009“ პირობების შეუსრულებლობისათვის დაჯარიმდეს და ეგრეთ წოდებულ შავ სიაში დარეგისტრირდეს.

შპს. „მაჭარაშვილი&კომპანია 2009“ უნდა განეხორციელებინა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შამგონის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის (75 აღსაზრდელზე) მშენებლობის საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. „მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, კომპანიამ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რომლის შესრულების ვადა მიმდინარე წლის 20 აგვისტოს დასრულდა“, – განაცხადა ედიშერ თოლორიამ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული კომისიის გადაწყვეტილებით კომპანიას დისკვალიფიკაცია გამოუტანეს.

ახალი გზა წითელი ხიდისკენ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წერეთელი-მირზოევკა-მულანლო-ქესალოს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაასრულა.

აღნიშნული 8,9 კმ-იანი გზა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზას უერთდება და ასევე, ერთმანეთთან აკავშირებს მარნეულსა და მის მიმდებარე სოფლებს: დიდ მულანლოს, ლეუბადინსა და ქესალოს.

პროექტის ფარგლებში, სავალ ნაწილზე დაიგო ასფალტ-ბეტონის ახალი საფარი; მოწესრიგდა მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები; მოეწყო: ადგილობრივ გზებთან მიერთებები, კიუვეტები, საორიენტაციო ბოძკინტები, დამცავი პარაპეტები და საგზაო ნიშნები.

სარეაბილიტაციო გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარი თითქმის არ იყო შემორჩენილი. გარკვეული მონაკვეთები კი ისე იყო ამორტიზებული, რომ გზის სავალ ნაწილზე ზედაპირული წყლები მიედინებოდა.

ქვემო ქართლის აღნიშნული დასახლებული პუნქტები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უსვი მოსავლით გამოირჩევა და როგორც ადგილობრივი დოვლათის გადასაზიდად, ასევე, სხვა კომუნიკაციისათვის მოსახლეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული გზის ტექნიკურ მდგომარეობას.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 3 მილიონ 750 000 ათასი ლარია.

ჯი-ეიბ-ენი, მედიანიუსი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მარგველაშვილი: სააკაშვილმა შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს და პრეზიდენტის ინსტიტუტს

სააკაშვილი: მარგველაშვილი ისტორიაში შევა მხოლოდ იმიტომ, რომ მას მოქალაქეობა ჩამოართვა

როდესაც მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა მიიღო, მან შეურაცხყოფა მიაყენა როგორც პრეზიდენტის ინსტიტუტს, ისე საქართველოსაც. ამის შესახებ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა პრეზიდენტის პოსტზე სააკაშვილის შემცვლელმა გიორგი მარგველაშვილმა, როდესაც განმარტავდა მიზეზებს, რომელთა თანახმადაც მან 4 დეკემბერს ხელი მოაწერა დოკუმენტს მიხეილ სააკაშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ.

„მიხეილ სააკაშვილს ჩამოართვეს საქართველოს მოქალაქეობა, და სამართლის თვალსაზრისით, ეს არის ერთადერთი პროცედურა, რომელსაც აღიარებს მოქმედი კანონმდებლობა. პოლიტიკური თვალსაზრისით ის, რომ სააკაშვილმა უარი განაცხადა საქართველოს მოქალაქეობაზე, ჩემგან მკაცრ შეფასებას მოითხოვს. ვინაიდან ყოფილმა პრეზიდენტმა შეურაცხყოფა მიაყენა როგორც პრეზიდენტის ინსტიტუტს, ისე ჩვენს ქვეყანასაც... როდესაც შენ ორჯერ იყავი საქართველოს პრეზიდენტი და ორჯერ იყავი ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და ამ ქვეყნის სახელით გამოგქონდა საქართველოს დროშა, შენ ვალდებული იყავი, პატივი გეცა ამ ქვეყნის მოქალაქეობისათვის“, — განაცხადა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა.

„ვერავინ აიძულებს“

ადრე, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დოკუმენტს სააკაშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეჩერების შესახებ, საქართველოს ექს-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ, თუ მარგველაშვილი შევა ისტორიაში, მხოლოდ „ამ იურიდიული აქტით“.

„მე თავიდანვე მითხრეს, რომ დამაპატიმრებენ, ამ ფონზე იძულებული ვიყავი, დამეტოვებინა ჩემი ქვეყანა, მაგრამ ამ დროს მე წავედი უკრაინაში, სადაც მიმდინარეობს იგივე ბრძოლა, რაც საქართველოში... მათ შეუძლიათ, ჩამომართვან მე პასპორტი, მაგრამ ვერავინ წამართმევს ეროვნულ კუთვნილებას, ვერავინ მაიძულებს, უარი ვთქვა საქართველოს სიყვარულზე. ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით და ყველა ერთად გავიმარჯვებთ“, — განაცხადა სააკაშვილმა ვიდეომიმართვაში, რომელიც გამოქვეყნდა ფეისბუქში მის ოფიციალურ გვერდზე.

საქართველოს ექს-პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება, ჩამოართვან მას საქართველოს მოქალაქეობა, არის პოლიტიკურად მოტივირებული, და გამოთქვა რწმენა, რომ მმართველ კოალიციას მისი ეშინია და არ სურს, დაუშვას მისი მონაწილეობა 2016 წლის პარლამენტის არჩევნებში. მან მიუთითა იმ ფაქტზეც, რომ საქართველოს სხვა მოქალაქეებისთვის, ვინაც უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და დღეს უკავია პოსტები უკრაინის მთავრობაში, მისგან განსხვავებით, ჯერჯერობით საქართველოს მოქალაქეობა არ ჩამოურთმევიათ.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის 30 მაისს ოდესის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა იმავე დღეს მიიღო უკრაინის მოქალაქეობა, ვინაიდან, უკრაინის კანონების თანახმად, ეს თანამდებობა შეუძლია დაიკავოს მხოლოდ უკრაინის მოქალაქემ. ამ დროს, უკრაინის კანონების მიხედვით, 2 წელი არის გარდამავალი პერიოდი, როდესაც შეიძლება დარჩე სხვა ქვეყნის მოქალაქედ და ამავდროულად გქონდეს უკრაინის მოქალაქეობა. ამ დროს, საქართველოს კანონების თანახმად, პირებს, ვინც მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ერთმევათ საქართველოს მოქალაქეობა. ამავდროულად უცხოელს შეუძლია მიმართოს ქვეყნის პრეზიდენტს, რომელსაც შეუძლია პირადად მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა.

ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტზე დანიშვნამდე სააკაშვილი არაერთგზის აცხადებდა, რომ მან უარი განაცხადა მთელ რიგ თანამდებობებზე კიევში, მათ შორის უკრაინის ვიცე-პრემიერის პოსტზეც, ვინაიდან არ სურდა, დაეკარგა საქართველოს მოქალაქეობა. მიმდინარე წლის თებერვალში იგი დაინიშნა უკრაინის პრეზიდენტთან პიოტრ პოროშენკოსთან არსებული რეფორმების საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, რაც არ მოითხოვდა უკრაინის მოქალაქეობას. მიუხედავად ამისა, მაისის ბოლოს სააკაშვილმა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ, ვინაიდან საქართველოში მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს მოქალაქეობა პირადად მისთვის ამ ეტაპზე არ ნიშნავს „6 კვადრატულ მეტრს ციხეში“. ექს-პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ მოქალაქეობის საკითხი არის „ფორმალურობა“ და რომ იგი მზადაა, ემსახუროს ქართველ ხალხს, როდესაც ამის სურვილი ექნება საქართველოს მოსახლეობას.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილზე საქართველოში გამოცხადებულია ძებნა უფლებამოსილებათა გადაჭარბებისა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის.

მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, მან ასევე დაკარგა უფლება — იყოს მის მიერ ჩამოყალიბებული პარტიის — ერთიანი ნაციონალური მოძრაობის — ხელმძღვანელი, რომელიც საქართველოს პარლამენტში უმცირესობას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში განაცხადეს,რომ არ აირჩევენ ახალ თავმჯდომარეს, ვინაიდან პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ღებულობს პოლიტიკური პარტია.

„არასწორი დამოკიდებულება“

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელი ელენე ხოშტარია მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილის მოქალაქეობის შეჩერების შესახებ, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია „რევანშიზმით“, ვიდრე ხელისუფლების „პოლიტიკური შიშის გამო“ მისი შესაძლო გამარჯვებასთან დაკავშირებით მომავალ არჩევნებში.

ექსპერტის სიტყვებით, ამ ეტაპზე მოსახლეობის გაძლიერებული გაწბილება მმართველ კოალიციაში ჯერ-ჯერობით არ აისახება ექს-პრეზიდენტის რეიტინგის ზრდაზე, და ქვეყნის ამჟამინდელ პრეზიდენტს არა აქვს საფუძველი, ეშინოდეს სააკაშვილის კონკურენციისა.

პოლიტოლოგის აზრით, სამართლებრივი თვალსაზრისით, პრეზიდენტი მარგველაშვილი ვალდებული იყო, ხელი მოეწერა დოკუმენტისათვის სააკაშვილის მოქალაქეობის გაუქმების შესახებ, მაგრამ, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია კონტექსტიც, ისიც, თუ როგორ გაკეთდა ეს. ელენე ხოშტარიას სიტყვებით, ამ შემთხვევაში თუ იქნებოდა სურვილი, შეიძლებოდა გამოძებნილიყო უფრო „ცივილიზებული“ ფორმა.

„შეიძლებოდა შეესრულებინათ იურიდიული პროცედურა, მაგრამ ასევე განეცხადებინათ იმის შესახებაც, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ (ასეთი პრაქტიკა დღეს საქართველოში ფართოდ გამოიყენება), პრეზიდენტი მზადაა, დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი დამოკიდებულება არ შეესაბამება განწყობილებას, რაც ამჟამად მმართველ წრეებში შეინიშნება“, — განაცხადა ხოშტარიამ ამერიკის ხმის რუსული სამსახურის კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში.

პოლიტოლოგს „არასასიამოვნოდ“ მიაჩნია საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული პრაქტიკა — ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტებთან დაკავშირებით, კერძოდ კი მათი „დემონიზირება“ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელების მიერ. ხოშტარიას სიტყვებით, სააკაშვილის მმართველობის „ყველა ნეგატიური მომენტის“ გათვალისწინებით, შეუძლებელია უარყო ის, რომ მისი პრეზიდენტობის დროს ადგილი ჰქონდა მეტად მნიშვნელოვან მიღწევებსაც.

ამავე დროს ექსპერტი მიიჩნევს, რომ უკრაინის მოქალაქეობის მიღების დროს თავად სააკაშვილმა წარმოაჩინა „არასწორი დამოკიდებულება“ საქართველოს მოქალაქეობისადმი.

„იმის ნაცვლად, რომ ეს წარმოვიდგინოთ, როგორც იძულებითი აუცილებლობა, მან თქვა, რომ მოქალაქეობა მხოლოდ ფორმალურობააო. ეს არასწორი დამოკიდებულებაა. სააკაშვილს უნდა დაეფიქსირებინა გაცილებით უფრო სერიოზული დამოკიდებულება საქართველოს მოქალაქეობისადმი“, — მიაჩნია ელენე ხოშტარიას.

VOA Voice of America

დედამიწის ზურგზე

ექსპერტები: ისლამური სახელმწიფოსთვის მებრძოლთა შორის რუსეთელების რიცხვი სამჯერ გაიზარდა

Soufan Croup -ის ცნობით, ამჟამად სირიასა და ერაყში 27 ათასიდან 31 ათასამდე უცხოელი იბრძვის რომლებიც იქ მსოფლიოს 86 ქვეყნიდან ჩავიდნენ. 2014 წლის ივნისში მათ რიცხვს ექსპერტები აფასებდნენ 12 ათასი კაცით. ანალიტიკოსებმა ციფრები გამოიყვანეს გაეროს მონაცემების, სამთავრობო წყაროების ცნობების, აკადემიური შეფასებების საფუძველებზე.

* * *

თეთრმა სახლმა მოითხოვა, მოიხსნას ტრამპი წინასაარჩევნო რბოლიდან წინადადების გამო — აუკრძალონ მუსლიმანებს აშშ-ში შემოსვლა

სახელმწიფოს მეთაურის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ჯოშ ერნესტი მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსის მიერ ნათქვამი ართმევს მას უფლებას — დადოს ფიცი და დაიკავოს პრეზიდენტის პოსტი. ამასთან დაკავშირებით თეთრი სახლის პრეს-მდივანმა მოუწოდა რესპუბლიკელებს მოხსნან ტრამპი წინასაარჩევნო რბოლიდან, ხოლო კანდიდატებს იმავე პარტიიდან მხარი არ დაუჭირონ პრაიმერიზზე გამარჯვების შემთხვევაში.

* * *

უკრაინის დაზვერვამ დაასახელა ნაწილები, რომლებშიც მსახურობენ სირიაში გაგზავნილი რუსის სპეცნაზელები

მათ შორისაა 27-ე ცალკეული გვარდიული მოტოსასროლი ბრიგადა მოსრენტგენიდან, 74-ე — იურგიდან, 28-ე — ეკატერინბურგიდან, საზღვაო ქვეითი ჯარის მერვე ბრიგადა სიმფეროპოლიდან, 61-ე — ქალაქ სპუტნიკიდან მურმანსკის ოლქში და დაზვერვის მთავარი სამმართველოს სპეცნაზი ნოვოსიბირსკიდან.

* * *

ისლამური სახელმწიფოს ლიდერი აბუ ბაკრ ალ-ბაგდადი თურქეთიდან ლიბიაში გადავიდა, ამტკიცებს პრესა

წყაროებმა ლიბიაში აცნობეს ფარსის სააგენტოს, რომ ალ-ბაგდადი ჩავიდა სირტში მეამბოხეების მიერ 2011 წელს მოკლული ლიბიელი დიქტატორის მუამარ კადაფის სამშობლოში. ამჟამად ქალაქი რადიკალური ისლამური დაჯგუფების კონტროლქვეშაა.

* * *

ვენესუელის ოპოზიციამ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა

ვენესუელის ოპოზიციური პოლიტიკური ძალები ქვეყნის პარლამენტში ადგილების ორ მესამედს ფლობენ — 109-დან 167-მდე, ამ დროს მთავრობისეულ სოციალისტებს ერგოთ მხოლოდ 55 ადგილი. ასეთი განლაგება ნიშნავს, რომ დემოკრატებს შეუძლიათ, გაიწვიონ უმაღლესი სასამართლოს წევრები, გამოიჩინონ ინიციატივა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ვადამდელი შეწყვეტის პროცესთან დაკავშირებით და მოიწვიონ რეფერენდუმი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

* * *

გაეროს უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე დაგმეს თურქეთი, განაცხადა ჩურკინმა

გაეროსთან რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ, როგორც მტრული ნაბიჯი, შეაფასა თურქული კონტინგენტის შეყვანა ერაყის ტერიტორიაზე. ვიტალი ჩურკინი მიიჩნევს, რომ თურქეთი „არ გადადგამს რაიმე ახალ უგუნურ ნაბიჯს, მათ შორის სირიის ტერიტორიაზეც“.

◎ დაფასება

სიძველეთმცველის აღიარება ნაგვიანევად...

დავით არსენიშვილის საქმის მემკვიდრეები

საძართველომ 110 წლის შემდეგ დავით არსენიშვილს ძეგლი დაუდგა. ხელოვნების სასახლის ეზოს ამიერიდან მისი დამაარსებლისა და სულისჩამდგმელის, დიდი ქართველი მოღვაწის დავით არსენიშვილის ბიუსტი დაამშვენებს. ქართველი მოღვაწის შესახებ ბევრი ითქვა საზეიმო გახსნაზე, რომელსაც ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია უძღვებოდა.

დავით არსენიშვილი მთელი არსებით ემსახურებოდა საქართველოს, უპირობოდ, უანგაროდ, მაქსიმალური თავდადებით. ის გახლავთ საქართველოს თეატრალური მუზეუმის დამაარსებელი, გიორგი ლეონიძესა და ტიციან ტაბიძესთან ერთად ლიტერატურის მუზეუმის შემქმნელი. 1929 წელს ალექსანდრე გრიბოედოვის საიუბილეო გამოფენის ორგანიზატორი. მის სახელს უკავშირდება მამა დავითთან არსებული მწერალთა მუზეუმის ამოქმედება და მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონის შექმნა. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მან გადაარჩინა აფეთქებას თბილისის მშვენება, ქართული ქრისტიანული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი — ანჩისხატის ბაზილიკა. 1930 წელს დიდი ბრძოლისა და გაშმაგებული წინააღმდეგობის მიუხედავად, შეძლო და მოსკოვიდან ჩამოიტანა კოტე მარჯანიშვილის თავისუფალი თეატრის ფარდა, რომლის ავტორიც დიდი მხატვარი კონსტანტინე სომოვია და რომლის ფასიც რამდენიმე მილიონი დოლარია. დღეს ეს ფარდა ხელოვნების სასახლეში ინახება. დავით არსენიშვილი პირველი ქართველი მეცნიერია, ვინც ასტრახანში მიაკვლია ქართველი მეფეების ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზის საფლავებს. ეს მცირე ჩამონათვალია იმ დიდი ღვაწლისა, რომელიც დავით არსენიშვილს ჩვენი ქვეყნის წინაშე მიუძღვის. აღსანიშნავია, რომ სწორედ მის სახელს უკავშირდება მოსკოვში დიმიტრი რუბლოვის სახელობის ძველი რუსული კულტურის მუზეუმის შექმნა.

„ალბათ, ეს ძეგლი არ დაიდგმებოდა, რომ არა პროფესორი ნათელა ვაჩნაძე და მისი შესანიშნავი მონოგრაფია დავით არსენიშვილის შესახებ. მე პირადად ეს მოღვაწე ამ წიგნით გავიცანი და შევიყვარე. მადლობა ქალბატონ ნათელას ასეთი ღვაწლისთვის. ხელისუფლებამ აღიარა დიდი ეროვნული მოღვაწე დავით არსენიშვილი და ბატონი მიხეილ გიორგაძეც გვერდში დაუდგა ჩვენს ინიციატივას ძეგლის დადგმის შესახებ, რისთვისაც ვემადლიერებით კულტურის სამინისტროს. განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო ჩვენი მუზეუმის მზრუნველთა საბჭოს წევრი გია ბაზღაძე, რომლის ფინანსურმა მხარდაჭერამ და თანადგომამ საშუალება მოგვცა, ჩვენი ოცნება რეალობად გვექცია“, — აღნიშნა გიორგი კალანდიამ.

დავით არსენიშვილის ძეგლის ავტორია მოქანდაკე დადა არსენიშვილი, რომელმაც უანგაროდ, ყოველგვარი ჰონორარის გარეშე კონსტანტინე არსენიშვილთან და თემურ ბრელიძესთან ერთად დიდი სიყვარულით შექმნა ძეგლი. ძეგლი იქნება მანამ, სანამ არსებობს ხელოვნების მუზეუმი, ანუ სანამ არსებობს საქართველო!!!

მიხეილ გიორგაძე (კულტურის მინისტრი): „გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ დავით არსენიშვილის ღვაწლი ქართული კულტურისთვის შეუფასებელია. ეს ადამიანი ფაქტობრივად სამუზეუმო ტრადიციის ფუძემდებელია. 1927 წელს შექმნილი თეატრალური მუზეუმი, ეს იყო პირველი სიძველეთსაცავი მთელს ამიერკავკასიაში. ამის მიუხედავად, დავით არსენიშვილი რეპრესირებულთა სიაში მოხვდა და მისი ღვაწლის საზოგადოდ წარმოჩინება აკრძალულიც კი იყო. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ ყველანი მისი აღიარების მოწმენი გავხდით“.

გია ბაზღაძე (ხელოვნების სასახლის მზრუნველთა საბჭოს წევრი): „დიდი პატივი იყო ამ პროექტში ჩემი მონაწილეობა. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დავით არსენიშვილმა იმდენი მოასწრო, რომ ერთი სამეცნიერო კონფერენციაც კი არ ეყოფოდა. წარმოიდგინეთ, რამდენი შრომა, ტანჯვა, წინააღმდეგობა შეხვდებოდა მას. ეს იყო მოკრძალებული ადამიანი და ამიტომაც ჩრდილში იყო... სამწუხაროა, რომ დღესაც ცოტა ვინმემ თუ იცის ამ პიროვნების შესახებ“.

ნათელა ვაჩნაძე (პროფესორი): „ტიტანურმა შრომამ, დაუდგრომელმა ხასიათმა, გატეხილმა ღამეებმა, საქმისადმი შეუორგულებულმა დამოკიდებულებამ შეაძლებინა დავით არსენიშვილს, შეექმნა სამი მუზეუმი თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. დღეს დასრულდა გზა სამართლიანობის ძიებისა და მან თავის სამშობლოში, თავის მიწაზე ჰპოვა აღიარება. ეს გახლავთ ახალგაზრდა მკვლევარის გიორგი კალანდიას დამსახურება. მინდა, გავიხსენო ალექსანდრე სიბზინიცინის აზრი, „თუ ცოცხალი ადამიანი იზრუნებს ერთ მიცვალებულზე, ე. ი. მას ტყუილად არ უცხოვრია“. ბატონმა გიორგიმ ეს მისია პირნათლად შეასრულა“.

ნანა იაშვილი: (პროფესორი, არსენიშვილის შთამომავალთა ოჯახის წევრი): „ჩვენი ოჯახის, ნათესავების, მეგობრების სახელით ვუხდი მადლობას ყველას, თითოეულ თქვენგანს, გიორგი კალანდიასა და მის გუნდს... დავით არსენიშვილი, სამწუხაროდ, უსამართლოდ იყო ჩრდილში. ეს დღეს, ამ არაჩვეულებრივ ზეიმზე დასრულდა. ვამაყობ, რომ არსენიშვილის მემკვიდრეობა როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით შთამომავლობას დარჩება“.

მეუფე ნიკოლოზი (ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის ეპისკოპოსი): „დავით არსენიშვილის ბიოგრაფია ამომწურავად არ არის ცნობილი. მან იმდენი საქმე გააკეთა, როდის მოვახერხებთ ჩვენ ამის გარკვევას?! თუმცა, „არრა არს დაფარული, რომელიც არა გაცხადდეს“. ის არის მსოფლიო მოქალაქე. ბატონი დავითი ჩემი ბებიის ბიძაშვილი იყო. ახლა დავუახლოვდით ერთმანეთს ოჯახებით ჩვენ და არსენიშვილები და ყოველდღიურად მით უფრო ახლოს ვეცნობი ამ დიდი მოღვაწის ცხოვრებასა და ღვაწლს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!“

განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს ქალბატონ დოდო არსენიშვილს, რომელმაც ბიძის არქივი უშურველად აჩუქა ხელოვნების სასახლეს...

თეა მოსია

◎ წერილი რედაქციას

ერთი ტერმინის შესახებ

პატივცემულო რედაქცია,

თქვენი გაზეთის 26 ნოემბრის ნომერში (№222, გვ.11) გამოქვეყნდა ოთარ კაპანაძის წერილი „რატომ გვერევა ერთმანეთში მატარებელი და შემცველი?“, რომლის პათოსს მეც ვეთანხმები. მხოლოდ მინდა დავამატო, რომ ეს ტერმინი („ენერგიაშემცველი“) სახელმწიფო კომისიამ ჯერ კიდევ ზურაბ პატარიძის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობის დროს დაადგინა. ანალოგიურ თემაზე („ენერგოეფექტურობა“ და „ენერგოეფექტიანობა“) მეც მაქვს მოსაზრება (ამ ტერმინებშიც დიდი აღრევაა). თუ საჭიროდ ჩათვლით, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება მისი გამოქვეყნება.

ენერგოეფექტიანობა დარგის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც ასახავს შეფარდებით ეფექტს, პროცესის, ოპერაციის ან პროექტის შედეგიანობას. იგი განისაზღვრება ეფექტის, შედეგის შეფარდებით დანახარჯებთან, რომლებმაც მისი მიღება განაპირობა და გამოიხატება მატერიალურ და ფულად ერთეულებში. ეფექტიანობის ტერმინი ეფუძნება „ეფექტის“ ცნებას, რომელიც გვიჩვენებს მიღწეულ შედეგს მატერიალურ, ფულად და სოციალურ გამოსახულებაში.

ქართულ და სხვა ენებშიც გვხვდება ეფექტიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაირსახეობები და ფორმები: მათ შორისა **ეფექტი, ეფექტური, ეფექტურობა, ეფექტიანი;** შესაბამისად გვაქვს **ენერგოეფექტიანობა და ენერგოეფექტურობა**.

„ეფექტი“, როგორც აღვნიშნეთ, გარდა მატერიალური და ფულადი ერთეულებისა, გამოიხატება სოციალურ გამოსახულებაში და ამჯერად სოციალური ფუნქციაც აკისრია. შესაბამისად, **ეფექტიანობა** დაკავშირებულია ეკონომიკურ პროცესებთან, ხოლო **ეფექტურობა** — ვიზუალურ, გარეგნულ მხარესა და სოციალურ ეფექტთან; ესაა ძლიერი შთაბეჭდილება, რასაც ვინმეზე ახდენს რაიმე ან ვინმე. სამწუხაროდ, ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ წიგნებში, ჟურნალ-გაზეთებში, მასმედიის საშუალებებში, რადიო-ტელევიზიასა თუ ზეპირმეტყველებაში ერთმანეთში აღრეულია ტერმინები **„ეფექტური“, „ეფექტიანი“, „ეფექტურობა“, „ეფექტიანობა“**. ისინი მეტწილად შინაარსობრივი დატვირთვის გაუთვალისწინებლად გამოიყენება, რაც, ცხადია, გაუგებრობას იწვევს.

ეფექტიანობა შეიძლება იყოს ახალი ტექნიკის, კაპიტალდაბანდებათა, საზოგადოებრივი წარმოების, დაკრედიტების, ექსპორტ-იმპორტის, შრომის და ა. შ. ეფექტიანი — განაწილება, მოთხოვნა, ხელფასი და სხვ; ეფექტი — ასაკის, დემოგრაფიული, შემოსავლების, შენაცვლების; ეფექტური — პიროვნების გარეგნული მხარე, ნათურის ნათება, ფეხბურთელის მიერ გატანილი გოლი და ა. შ. ცალსახაა, რომ **„ეფექტიანობა“** სხვაა და **„ეფექტურობა“** სხვა. შესაბამისად საჭიროა ეს ტერმინები იყოს გამოყენებული ყველგან და მათ შორის ენერგეტიკაშიც.

სამწუხაროდ, **„ეფექტურობადაა“** თარგმნილი „эффективность“ საბჭოთადროინდელ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში (გვ., 1977წ., 519.), **ეკონომიკურ ეფექტურობადაა** განმარტებული კატეგორია, რომელიც **მეურნეობის წარმართვის შედეგიანობას** გამოხატავს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (1979 წ., ტომი 4. გვ. 74.), ტერმინები აღრეულია ქართულ-ინგლისურ-რუსულ ტერმინოლოგიაში (თ. ყიფიანი, 2011 წ., გვ. 53, 289, 327,) და ინგლისურ-რუსულ-ქართულ ენერგეტიკულ ლექსიკონში (რ. კანდელაკი, 2012 წ. გვ. 90, 92, 566, 605), ხოლო ამ მხრივ ცალკეული წიგნების, სტატიებისა და ავტორების ჩამოთვლა, ნამდვილად შორს წაგვიყვანს.

გამორჩეულია **„ენერგოეფექტურობის ცენტრის“** შემთხვევა. ცნობილია, რომ ასეთი სახელი ჰქვია საქართველოს ენერგეტიკაში ამჟამად მოქმედ ერთობ ავტორიტეტულ ორგანიზაციას. მისი შინაარსობრივი დატვირთვა ძირითადად **ენერგოეფექტიანობას** გულისხმობს, მაგრამ ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე მითითებულია „ენერგოეფექტურობის ცენტრი“ და ყველა ასე მოიხსენიებს, თუმცა მისი ინგლისურენოვანი დასახელება სწორადაა ნაჩვენები — „Energy Efficiency centre“, ე. ი. სახეზეა შეუსაბამობა.

ჩვენ მიერ აქ გამოთქმულ მოსაზრებას სრულად ეთანხმება საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ (იხ. თავი II, მუხლი 3, პუნქტი 1 ლ; თავი VII, მუხლი 43, პუნქტი 1გ, 1დ.) და საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები (იხ. ნაწილი I — ძირითადი ამოცანები, პუნქტი „დ“; ნაწილი II — პოლიტიკის მიმართულებები, პუნქტი 1.1.) და სხვა ოფიციალური დოკუმენტები. ჩვენ მართებულობაზე მიუთითებს „ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია“ (საერთო რედაქტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, თბ., 2001, გვ. 9, 411) და „ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (საერთო რედაქტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, თბ., 2005, გვ. 235, 236). „თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (როზეტა ასათიანი, თბ., 2012 წ., გვ. 141) და სხვ.

დემურ ჩომახიძე

◎ რაგბი

მიქაუტაძე „მონპელიეში“ მიდის

საძართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრებისა და “ტულონის“ მეორეხაზელი კოტე მიქაუტაძე მომავალი სეზონიდან კარიერას „მონპელიეში“ გააგრძელებს.

ფრანგული პრესის ცნობით, მხარეებმა შეთანხმებას უკვე მიაღწიეს და 24 წლის მორაგბემ ახალ კლუბთან 2-წლიანი წინასწარი შეთანხმება გააფორმა. ამრიგად, 2-მეტრიანი ქართველი ყოფილ დამრიგებელთან, სამხრეთაფრიკელ ჯეკ უაიტთან იმუშავებს და სიტალეკი ტიმანი უნდა შეცვალოს, რომელიც „მონპელიედან“ „კლერმონში“ გადადის.

მიქაუტაძე „ტულონში“ 2010 წლიდან ირიცხება და ტოპ-14-ის მიმდინარე სეზონის ხუთ და ჩემპიონთა თასის ერთ მატჩში მიიღო მონაწილეობა. 2010 წლიდან დღემდე კოტემ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 40 თამაში ჩაატარა და 2 ლელო გაიტანა. მან „ბორჯღალოსანთა“ ღირსება 2015 წლის მსოფლიო თასზეც დაიცვა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

სტეფ კარი: 73 მოგება? რატომაც არა?!

„გოლდენ სტეიტ უორიორზის“ გამთამაშებელი სტეფ კარი მოხარული იქნება, თუკი მისი გუნდი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ სეზონში მოგებული მატჩების მხრივ ლიგის რეკორდს დაამხობს, თუმცა, ამით გუნდის მთავარი მიზანი არ უნდა დაზარალდეს.

შეგახსენებთ, რომ 1995-96 წლების სეზონში „ჩიკაგო ბულზმა“ რეგულარული სეზონი 72 მოგებითა და 10 მარცხით დაასრულა და ეს შედეგი დღემდე საუკეთესოდ რჩება. მას შემდეგ, რაც „უორიორზმა“ სეზონის სტარტზე ზედიზედ 23 გამარჯვება იზეიმა (მათ შორის ბოლო გუშინ „ინდიანასთან“ – 131-123), ცხადია, კარის და მის თანაგუნდელებს რეკორდი გონებაში უტრიალებთ.

„73 მოგება რეგულარულ სეზონში? დიახ, ეს შესაძლებელია, თუმცა, ვითარებას საღი გონებით უნდა მივუდგეთ, პროგრესი უნდა გავაგრძელოთ და აპრილს საუკეთესო ფორმაში შევხვდეთ. თუკი პლეი-ოფში ვერ ვივარგეთ, რეგულარულის რეკორდები არაფერს მოგვცემს“, – აღნიშნა ამერიკელმა ვარსკვლავმა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

WTA-მ წლის ნომინაციების გამარჯვებულები დაასახელა

WTA-მ გულშემატკივრებთან და მედიის წარმომადგენლებთან ერთად წლის ნომინაციების გამარჯვებულები დაასახელა.

2015 წლის საუკეთესო მოთამაშე სერენა უილიამსი გახდა, რომელმაც უიმბლდონი, ამერიკის ღია პირველობა და ავსტრალიის ღია

პირველობა „დაიპყრო“. უილიამსმა 53 ბრძოლა მოიგო და მხოლოდ 3 შეხვედრაში დამარცხდა.

მარტინა ჰინგისი-სანია მირზა წლის საუკეთესო წყვილად დასახელდა. ინდურ-შვეიცარიულმა დუეტმა ორი დიდი სლემის ტურნირი – უიმბლდონი და ამერიკის ღია პირველობა მოიგო, სულ კი ჯამში 10 ტიტული მოიპოვა.

წლის ყველაზე გაუმჯობესებული ჩოგბურთელი შვეიცარიელი ტიმეა ბაჩინსკი გახდა. მან WTA-ის ორი ტურნირი მოიგო. ტიმეა როლან გაროსის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო უიმბლდონზე მეოთხედფინალში გააღწია.

წლის საუკეთესო ახალბედა 21 წლის დარია გავრილოვა გახდა, რომელმაც მარია შარაპოვა და ანა ივანოვიჩი დაამარცხა.

წლის საუკეთესო დაბრუნების ტიტული ვინუს უილიამსმა დაისაკუთრა. იგი 2010 წლის შემდეგ პირველად მოხვდა რეიტინგის საუკეთესო ათეულში – 41 შეხვედრა მოიგო და 13 წააგო. წელს ვინუსმა 3 ტიტული მოიპოვა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

ბენიტესმა დაამტკიცა, რომ დაცვითი სტილის მწვრთნელი არ არის

მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი „მალმიოსთან“ მოგებული (8:0) ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მატჩის შემდეგ კმაყოფილი გახლდათ. ესპანელმა სპეციალისტმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ დაცვითი სტილის მწვრთნელი არაა და ეს ფაქტი შვედურ გუნდთან დადასტურდა.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ არ ვარ დაცვითი სტილის მწვრთნელი და ჩემმა გუნდმა ამის დემონსტრირება შეძლო. ვამაყობ მოგებით. „რეალის“ თამაშით კმაყოფილი ვარ. კრიშტიანუ გუნდში ფუნდამენტურ როლს ასრულებს, ქარიმ ბენზემას კი კარგი თამაში სჭირდებოდა, რათა მორალური ბარიერი გადაელახა, რაც სამომავლოდ გამოადგება.“ – განაცხადა ესპანელმა.

„მალმიოსთან“ შეხვედრაში კრიშტიანუ რონალდუმ თავი ოთხჯერ გამოიჩინა და ჯგუფურ ეტაპზე გატანილი გოლების რაოდენობით (11) რეკორდი დაამყარა.

ფერდინანდმა „მანჩესტერის“ შედეგს სამარცხვინო უწოდა

ინგლისის ეროვნული ნაკრების და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა ფეხბურთელმა რიო ფერდინანდმა „წითელი ეშმაკების“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან ვერგასვლას სამარცხვინო უწოდა. ლუის ვან გაალის გუნდი „ვოლფსბურგთან“ სტუმრად 2:3 დამარცხდა, ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და ევროპა ლიგაზე გადავიდა.

ფერდინანდმა BT Sport-ის პირდაპირ ეთერში გაიხსენა, რომ 2011/12 წლების სეზონში თავადაც მოუწია ევროპა ლიგაზე ასპარეზობა.

„ეს სამარცხვინოა. მე ვიყავი იმ შემადგენლობაში, რომელმაც ევროპა ლიგის საგზური მოვიპოვეთ და ეს სამარცხვინო გახლდათ. „მანჩესტერის“ ფეხბურთელებს არ უნდა უნდოდეთ სახლში დაბრუნება. მოთამაშეები ქუჩაში გულშემატკივრებს შეხვდებიან და ისინი უკვე ფიქრობენ, რომ კარგი ფეხბურთელები არ არიან. გავოცდი, რატომ ვერ შეძლო „მანჩესტერმა“ მერვედფინალში გასვლა, თუმცა, გუნდმა ეს „მოახერხა.“ – განაცხადა ფერდინანდმა.

მანჩესტერელებმა ისტორიაში 1994/95, 2005/06, 2011/12 წლების სეზონების შემდეგ მეოთხედ ვერ შეძლეს ჯგუფიდან გასვლა.

პირველ შემთხვევაში „იუნაიტედს“ „გიოტებორგმა“ და „ბარსელონამ“ აჯობეს. მომდევნო წარუმატებლობის დროს გუნდში ფერდინანდი უკვე თამაშობდა და ინგლისური გრანდი „ვილიარეალს“, „ბენფიკას“ და „ლილს“ ჩამორჩა.

ჩემპიონთა ლიგის 2011/12 წლების სეზონში „მანჩესტერი“ ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა – „წითელ ეშმაკებს“ „ბენფიკამ“ და „ბაზელმა“ აჯობეს, ამჯერად კი ლუის ვან გაალის შეგირდები „ვოლფსბურგს“ და პსვ-ს ჩამორჩნენ.

ზლატანი რეკორდებს ამყარებს

კრიშტიანუ რონალდუმ თუ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის რეკორდი დაამყარა, ფრანგული „პარი სენ ჟერმენის“ ლიდერი ზლატან იბრაჰიმოვიჩი პირადი რეკორდების დამყარებას განაგრძობს. შვედმა გიგანტმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის ბოლო ტურში „შახტარს“ (2:0) ერთი გოლი გაუტანა და პარიზული გუნდის ისტორიაში ჩემპიონთა ლიგაზე საუკეთესო მეგოლე გახდა.

„იბრასთვის“ ეს პსჟ-ს მაისურით ლიგაზე გატანილი მე-17 გოლი გამოდგა და ლეგენდარული ლი-

ბერიელის ჟორჟ ვეას რეკორდი დაამხო, რომელსაც 16 გოლი გაუტანია პარიზელთა მაისურით.

ლორენტეს მცირე შურისძიება

ბასკმა თავდამსხმელმა ფერნანდო ლორენტემ, რომელიც ზაფხულში ტურინის „იუვენტუსმა“ „სევილიაში“ გაასხვისა, შეიძლება ითქვას, რომ „ბებერ ქალბატონზე“ შური იძია. სწორედ ლორენტეს გოლით მოუგო „სევილიამ“ იტალიის ჩემპიონს და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მეორე ადგილი გამოუწერა.

თამაშის შემდეგ ესპანელმა ფორვარდმა თქვა, რომ „იუვენტუსის“ პირველ ადგილზე გასვლა უნდოდა, მაგრამ „მანჩესტერ სიტიმ“ ქულები არ დაკარგა...

„ჩვენთვის მთავარი იყო გამარჯვება, რადგან ევროპა ლიგის საგზურის მოპოვება გვინდოდა. ბრწყინვალე თამაში ჩავატარეთ ისეთი ძლიერი დაცვის წინააღმდეგ, როგორიც „ბებერ ქალბატონს“ ჰყავს. „იუვეს“ პატივს ვცემ და მინდოდა, რომ პირველ ადგილზე ტურინელები გასულიყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, „სიტის“ თამაში ფრედ არ დასრულდა“, – აღნიშნა ლორენტემ.

ფერნანდო ლორენტე „იუვენტუსში“ ორი სეზონი ირჯებოდა და გუნდთან ერთად ორგზის მოიგო

იტალიის ჩემპიონატი და სუპერთასი, ხოლო ერთხელ – იტალიის თასი. ჯამში მან ტურინულ კარიერაში 27 გოლის გატანა შეძლო.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

რაფაელა ფიკო და გლდანელი ტანჯულა

ერთ დროს მარიო ბალოტელის გულისსწორი და მისი შვილის დედა, ცნობილი მოდელი რაფაელა ფიკო ბევრს კი ეცადა შავტუხა აფრიკელ-იტალიელთან ურთიერთობების დათბობას და შერიგებას, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა.

ანდა რა დიდი მიხვედრა უნდოდა იმას, რომ მარიოს გული რაფაელასადმი გაციებული იყო, ვითარცა იალბუზი და მდედრი მიგდებული იყო, ვითარცა გლდანელი ტანჯულა. უბედური სიძვის დიაცი გლდანელი ტანჯულაც ხომ რაფაელასამებრ ბევრს ეცადა სარფიანად გათხოვილიყო, რა არ იღონა საამისოდ, მაგრამ ვაჰმე ბედსა და იღბალს - არადა არ გამოჩნდა კაცი იმედის ნათელსვეტით.

მიუხედავად იმისა, რომ რაფაელა ფიკო ცნობილი ქალია და ფინანსური სახსრების სიმცირესაც არ უჩივის, მისი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ თბილ და სიკეთით გაცისკროვნებულ ოჯახში შეყუჟვა დიდ ოცნებად ექცა, მაგრამ ქართველებმა ხომ ყველაზე კარგად ვიცით, რომ ოცნებები ხშირად მხოლოდ ოცნებებია და მეტი არაფერი...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ გვირჩევენ

ტვინის 12 სტიმულატორი, რომლებიც ყავაზე უკეთესია

1. ირტუნავეთ

High Point Chiropractic Wellness-ის დამფუძნებელი ირუმ ტახირი თვლის, რომ ხტუნაობა ძალიან სასარგებლოა და თავად ყოველდღე ხტუნაობს. ასეთი ვარჯიში გონებრივ შესაძლებლობებს აუმჯობესებს, ააქტიურებს ლიმფურ სისტემას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ტოქსინების გამოდევნას, აყენებს სხეულის ფორმას, ამაღლებს ენდორფინების დონეს ორგანიზმში. ხტუნვისას ასევე იწვება დიდი რაოდენობით კალორიები. ხტუნვა კარგია გულსისხლძარღვთა სისტემისთვის. ირუმი ყოველ დილით 10 წუთის მანძილზე ხტუნაობს. ის ამ დროს იყენებს იმისათვის, რომ დაიმუხტოს მთელი დღისთვის საკმარისი ენერგიით, თან იძახის: „მე ძლიერი ვარ!“, „მე ბედნიერი ვარ!“, „მე წარმატებული ვარ!“, „მე ჯანმრთელი ვარ!“.

2. აკეთეთ სიკეთე

ZinePak-ის დამფუძნებელი კიმ კოუპი თვლის, რომ ვარჯიშის უნიკალურ მეთოდს მიაგნო. დღის მეორე ნახევარში ის 15 წუთს ადამიანების დახმარებას უთმობს. ის ცდილობს, რაიმე სიკეთე გააკეთოს. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, მაგალითად, მოხუცს ჩანთების წაღებაში დაეხმაროთ, კარგი გაუღოთ და ა.შ. ზოგჯერ კიმი ელ-ფოსტით ეკითხება თავის თანამშრომლებს და მეგობრებს, რამე დახმარება ხომ არ სჭირდებათ მათ ან ვინმე სხვას. კეთილი საქმის გაკეთების შემდეგ ის თავს კმაყოფილად გრძნობს და დარწმუნებულია, რომ კარმას გლობალური მიმოცვლისას სიკეთე დაუბრუნდება სიკეთით.

3. იმუშავეთ ფეხზე დამდგარმა

Myriad Mobile-ის დამფუძნებელმა რაიან რაგუზიმ მუშაობა გადაწყვიტა ფეხზე დამდგარმა. ამას ის 2013 წლიდან აკეთებს. სულ რამდენიმე თვის შემდეგ მან შეამჩნია, რომ უფრო ამტანი, მობილიზებული და მხნე გახდა. თავიდან მან ეს ექსპერიმენტი ჩაატარა ზურგის ძლიერი ტკივილის გამო, მას შემდეგ, რაც ფეხზე დამდგარი მუშაობს, ტკივილი მკვეთრად შეუმსუბუქდა. მან გადაწყვიტა, გაერკვია რა უპირატესობები ჰქონდა ფეხზე დგომით მუშაობას — კვლევის თანახმად, რომელიც ინგლისში ჩატარდა, თუ დღის მანძილზე სამი საათი დადგებით, შეძლებთ იმდენივე კალორიის დაწვას, რამდენიც შესაძლებელია წელიწადში 10 მარათონული გარბენისას. არსებობს ასევე კვლევები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ასეთი მიდგომა ხელს უწყობს სიმსუქნის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და კიბოს თავიდან აცილებას. სხვა კვლევები ადასტურებენ, რომ გადაბმულად რამდენიმე საათი ჯდომა ისეთივე მავნეა, როგორიც ორი კოლოფი სიგარეტის მოწევა დღის მანძილზე.



4. დადექით თავდაყირა

Popup Archive-ის თანადამფუძნებლები ანე ვუტონი და ბეილი სმიტი დღის მანძილზე გარკვეული დროით თავდაყირა დგებიან — ეს ეხმარებათ როგორც პრობლემების გადაჭრაში, ისე ძალების განახლებაში. ისინი ოფისში პოულობენ ადგილს, სადაც არავინ შეაწუხებთ და დგებიან თავდაყირა. ეს საუკეთესო შეხსენებაა იმისა, თუ რა შეუძლია ჩვენს სხეულს, როცა თავი მუდმივად საქმით არის დაკავებული. ინვერსია — ასე ეწოდება ამ სავარჯიშოს იოგაში, რაც შესანიშნავი საშუალებაა, რადგან არის გასართობი, სწრაფად შესასრულებელი და სასარგებლო როგორც სხეულისთვის, ისე ტვინისთვის.

5. დალიეთ ბევრი წყალი

Greatist-ის დამფუძნებელი დერეკ ფლაინცრაიხი გვირჩევს, ვსვათ ბევრი წყალი, რადგან თავად ასე იქცევა და თავს უკეთესად გრძნობს. სამეცნიერო კუთხით, წყლის არსებობა ორგანიზმში 100%-ით ზემოქმედებს მასში მიმდინარე პროცესებზე. კვლევები აჩვენებენ, რომ წყალი გვეხმარება, ვიყოთ უფრო თავდაჯერებული, აჩქარებს ტვინში მიმდინარე პროცესებს, ამაღლებს პროდუქტიულობას და განწყობასაც კი აუმჯობესებს. რამდენი წყალი უნდა დავლიოთ დღეში? ყველას სხვადასხვა მოთხოვნა აქვს წყლის მიღებაზე, მაგრამ საშუალოდ დღის მანძილზე საჭიროა 1,5-2 ლიტრი წყლის მიღება.

6. ადექით მარჯვენა ფეხით

RAIN-ის დამფუძნებელმა სკაილერ სატონმა დაიწესა ყოველდღე გაეღვიძა საჭირო განწყობით. სანამ საწოლიდან ადგება, ის საკუთარ თავს ეკითხება: „რამდენად კარგად ვგრძნობ თავს?“. თუ ის დადებით განწყობაზე და შთაგონებულია, ფიქრებსაც განაწყობს საუკეთესოზე, რაც შეიძლება მოუტანოს დღემ. მთავარი წესია — ეს უნდა გააკეთოთ ტელეფონში შეტყობინებების, ტელევიზორის ჩართვის და ვინმესთან საუბრის დაწყებამდე.

7. ავარჯიშეთ პრესი სახლის პირობებში

Women 2.0-ის დამფუძნებელი შეიხი როუზ ჩარანია კოლეგებთან ერთად ჯავშნის საკონფერენციო დარბაზს, იხდის ფეხსაცმელს, იატაკზე წვება და რთავს ვიდეოს „როგორ დავიყენოთ მუცლის პრესი სახლის პირობებში“. 20 წუთის მანძილზე ისინი საკმაოდ რთულ სავარჯიშოს ასრულებენ. სირთულეების გუნდურად გადალახვა მათ ერთობის გრძნობას უღვივებს. იზრდება ნდობა ერთმანეთის მიმართ. ვარჯიშის დასრულების შემდეგ ყველა გრძნობს, რომ ეს იყო დღის მანძილზე ყველაზე რთული საქმე და დანარჩენი სამუშაო უკვე რთული აღარ ჩანს. გარდა ამისა, ყველა ერთობა, იცინის და ერთმანეთთან მეტი კონტაქტი აქვთ.

8. კომპანიაში დანერგეთ ენერგიის გაცვლის კულტურა

Yodle-ის დამფუძნებელი ბენ რუბინშტეინი თვლის, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია ენერგიული გუნდის ყოლა და სწორედ ასეთ ადამიანებს ქირაობს. მის კომპანიაში დანერგილია ენერგიის გენერირების რამდენიმე მეთოდი — გამამხნევებელი მუსიკა, როცა წარმატებული გაყიდვა შედგება გონგზე დარტყმა და ა.შ. შთამაგონებელი გამოსვლები, ვიდეოები და გზავნილები — ეს ნორმაა. ყოველი კრება მთავრდება გუნდური სიმღერით.

თავად ბენი ენერგიის აღდგენას ადამიანებთან მისალმებით ახერხებს. ესალმება იმდენ ადამიანს, რამდენიც შესაძლებელია. გასცემს და იღებს პოზიტივს, რაც ენერგიას სრულად აღადგენს.

9. წათვლიმეთ

Bloomboard-ის თანადამფუძნებელი ჯეისონ ლანგი ამბობს, რომ მისი ყველაზე ენერგიული დღეები არის მაშინ, როცა დღის მანძილზე ახერხებს ნახევარი საათით წათვლიმოს. მისი აზრით, გადართვის საუკეთესო საშუალებაა რაიმე ისეთის კეთება, რაც არ ძაბავს გონებას და კავშირი არ აქვს მუშაობასთან. ეს ხანმოკლე დასვენება მას საშუალებას აძლევს გვიან ღამემდე იმუშაოს, იმ პერიოდში სიმშვიდეა და ყველას სძინავს. არსებობს უამრავი კვლევა, რომლებიც ადასტურებენ, რომ ხანმოკლე ძილი პროდუქტიულობას ზრდის.

10. ყოველდღიურად ისეირნეთ მინიმუმ ნახევარი საათი

ბიზნესის მართვა რთულია ემოციურად, ფსიქოლოგიურად და მენტალურად. REP Interactive-ის დამფუძნებელი სტივ გოტენდამ დაიწყო 30-წუთიანი გასეირნებით დღეში. ორი წლის შემდეგ ის დღეში 9,5 კმ-ს გადიოდა და ახლა უკვე გეგმავს თავის გუნდთან ერთად მიიღოს მონაწილეობა NFL-ის სპორტსმენების წვრთნაში სანტა-მონიკას მთებში, კალიფორნიის შტატში. მას შემდეგ, რაც ფეხით სიარული დაიწყო, მან დაიკლო 20 კგ, გაზარდა ბიზნესი ორჯერ და დაქორწინდა. ის გახდა წარმატებული და ბედნიერი.

11. განივითარეთ მადლიერების ჩვევა

One Month-ის თანადამფუძნებელი კრის კასტილიონი, ყოველ საღამოს, ძილის წინ იწერს სამ რამეს, რისთვისაც მადლობელია. ზოგჯერ ის იმდენად წარმატებულია, რომ სამზე მეტ საკითხს წერს. ხშირად მის სიაში წვრილმანი სასიხარულო მოვლენები ხვდება, როგორიცაა მეგობრებთან ერთად ფინჯანი ყავის დალევა ან ახალი ცოდნის შეძენა. დადებითი განცდების ჩაწერით ის თვლის, რომ ტვინს ბედნიერებაზე განაწყობს. გამოკვლევები ადასტურებს, რომ ბედნიერების ზრდასა და მსგავსი ბლოკნოტის წარმოებას შორის ურთიერთქმედება 25%-ია. სხვა ბონუსები, რაც ამ ქმედებას ახლავს, არის ძილის გაუმჯობესება და კარგი განწყობა.

12. შეისწავლეთ სუნთქვის ვარჯიშის ტექნიკა

Circa Ventures-ის დამფუძნებელი როჰიტ ანაბრეჰი დღეში 15 წუთს უთმობს სუნთქვით ტექნიკას საერთო ჯანმრთელობისთვის. ეს ჩვევა მას საშუალებას აძლევს მეტად პროდუქტიული იყოს და ფოკუსირება მოახდინონ ყველაზე მთავარზე სამსახურსა და პირად ცხოვრებაში.

ეს მეთოდი ასე მუშაობს: მარჯვენა ნესტო დაიხშეთ დიდი თითით, მარცხენა — უსახელო და ცერა თითით. პირი დამუწეთ და არ ისუნთქოთ. მორიგეობით გაათავისუფლეთ ნესტოები. სუნთქვის დროს არ უნდა ისმოდეს ხმაური. შეასრულეთ ეს სავარჯიშო 10-10-ჯერ ყოველი ნესტოთი. ეს სავარჯიშო დაგეხმარებათ გააკონტროლოთ სიმსუქნე, ჰიპერტონია, შაქრისა და ქოლესტერინის დონე, გაიუმჯობესოთ გულის ფუნქციები და მხედველობითი ფუნქციები.

commersant.ge

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამავე აკადემიის ნამდვილი წევრი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პრობლემის მოგვარების კომისიის აქტიური წევრი, გამორჩეული და კოლორიტული პიროვნება, აკადემიკოსი

გივი კილასონია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს.

აკადემიის სახელით: **თეიმურაზ ბაბუნაშვილი, ნოდარ ჭითანავა, ანზორ აბრალავა, დავით გვაძაბია, გურამ გვეტაძე, რევაზ გოგოხია, თამაზ დანელია, გია კვაშილავა, რომან კუჭუხიძე, გივი ლობჟანიძე, გულთაზ ლაბარტყავა, პარმენ ლემონჯავა, დავით ნაჭყებია, ნუგზარ პაიჭაძე, ხიმურ რუხაია, დემურ ღაღანიძე.**

მისამართი: დიდი დიღომი, დ. თავდადებულის 2, II სად. I სართ. პანაშვიდი 10, 11 XII, 16 სთ. დაკრძალვა 12 XII, 14 სთ. 30 წთ. დიდი დიღომი, ასიათას მოწამეთა სახ. ეკლესიიდან (შესასვლელი პეტრიწის ქუჩიდან).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი მამულიშვილი, უმაღლესი განათლების სისტემის დამსახურებული მუშაკი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი

გივი კილასონია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



მეუღლე ლამარა ურიდია, შვილები მარინა, ნანა ჯანელიძეები, და მანანა ჯანელიძე, სიძეები სოსო ცისკარიშვილი, გია აბულაძე, შვილიშვილები ზეზვა, ლელა ცისკარიშვილები, თორნიკე, ნინო აბულაძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ ბესარიონის ძე ჯანელიძე

პანაშვიდი 10, 11 XII, 17 სთ. გამოსვენება 12 XII, 15 სთ. თენგიზ აბულაძის ქ. №4.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე, საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი, ბატონი

თამაზ ჯანელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 89 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ჩვენი გაზეთის უძველესი მეგობარი და მუდამ სასურველი ავტორი

თამაზ ჯანელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, დიდ სამეგობროსა და სანათესავოს.

ზურაბ, მერაბ ხონელიძეები ოჯახებით იუწყებიან დედის

მარგო ხონელიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 XII, თბილისი, ნინო რამიშვილის 27 ა, 11 XII, ქ.ფოთი, კოსტავას 80. გამოსვენება 12 XII, 14 სთ. ფოთი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან.

რეზო ჭოჭუა, გიგლა ვეკუა, რუსლან რუსია ოჯახებით თანაუგრძნობენ ზურაბ და მერაბ ხონელიძეებს დედის

მარგო ხონელიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მურად ანჯაფარიძე, თემურ დანელია თანაგრძნობას უცხადებენ ზურაბ ხონელიძეს

დედის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 10 XII, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის 27ა. გამოსვენება 12 XII, 14 სთ. ქ. ფოთი, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

გილოცავთ საიუბილეო თარიღს!

შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ადმინისტრაცია და დასაქმებულთა კოლექტივი, საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფესიული კავშირი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს დარგის საუკეთესო სპეციალისტს, ღირსეულ პიროვნებას, ბატონ ბორის შალვას ძე ადამიას დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ახალ-ახალ წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში და ბედნიერ ცხოვრებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

გფარავდეს ღმერთი!

◎ ინფორმაცია

მებაჟე ოფიცრებმა სომხეთის მოქალაქეს მარიხუანა აღმოუჩინეს

მარიხუანას შემოტანის ფაქტი გამოვლინდა 6 დეკემბერს საბაჟო გამშვებ პუნქტზე „სადახლო-საავტომობილო“. მებაჟე ოფიცრებმა ეჭვის საფუძველზე დაათვალიერეს სომხეთის მხრიდან შემოსული მსუბუქი ავტომობილი, მისი მძღოლი, სომხეთის მოქალაქე ა.კ., და მძღოლის კუთვნილი ბარგი და 4,66 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა აღმოაჩინეს.

◎ ბავშვის ფსიქოლოგია

პატარ-პატარა ეშმაკობები...

პატარა ეშმაკუნების უფრო ადვილად აღსაზრდელად

ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ჯოანა გოდარი წლების მანძილზე აქვეყნებს თავის ბლოგზე გამოცდილ მშობელთა რჩევებს, რომლებიც ახალგაზრდა დედ-მამებს თავიანთ პირმშოთა აღზრდაში დიდ დახმარებას უწევენ. ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, ჯოანა გოდარის ბლოგი ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია პოპულარული, რადგან ამ რჩევების ყოველდღიურ ყოფაში გამოყენებას ჩვენი პატარებისთვისაც მოაქვს სიკეთე და მშობლებსაც მათ აღზრდას უადვილებს. აი, ზოგიერთი მათგანი.

● თუ ბავშვი წაიქცა, რომ წამოაყენებთ, ჩაიხუტეთ და ჰკითხეთ: „გეტკინა თუ შეგეშინდა?“. ამ დროს ბავშვები ხშირად შეშინებულები არიან ხოლმე, და თუ ეს ასეა, მოუყევით, რომ ერთხელ ბავშვობაში თქვენ ან თქვენი მეუღლე ასევე წაიქეცით — ბავშვებს უყვართ ასეთი ამბები და მათ მოსმენისას მალევე ავიწყდებათ თავიანთი განსაცდელი.

● როცა მთელი ოჯახით სამოგზაუროდ მიდიხართ, უმჯობესია, ვთქვათ, დედა ბავშვებთან დაჯდეს, მამა — ცალკე, გზაში კი ერთმანეთს შეენაცვლეთ. დადასტურებულია: ხანგრძლივი მგზავრობისას ბავშვები ნაკლებად რომ დაიღალონ, მშობლების მონაცვლეობა საუკეთესო ხერხია.

● თუკი ბავშვის ყურადღების მოზიდვა გინდათ, უმჯობესია ამ მიმართვით დაიწყოთ: „მე შენთვის ადრე თუ მომიყოლია, რომ...“

● ჩართული წამზომი — საუცხოო საშუალებაა იმისათვის, რომ ბავშვმა, ვთქვათ, რაც შეიძლება დროულად ჩაიცვას ფეხსაცმელი, ანდა თავისი საწოლი გაასწოროს.

● დანიშნეთ ყოველკვირეული „ტკბილეულის დღე“ და იმის მაგივრად, რომ ბავშვს გამუდმებით უარს ეუბნებოდეთ, ვთქვათ, კანფეტის ჭამაზე, უთხარით: „ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ, რომ კანფეტს სამშაბათობით ვჭამთ?“ ამის შემდეგ ბავშვი ამ დღის მოლოდინში იქნება, თან ისეთ სასარგებლო თვისება გამოუმუშავდება, როგორიცაა მოთმინება.

● როცა სკოლამდელი ასაკის ბავშვთან ერთად სამგზავროდ ემზადებით, სთხოვეთ, თავად შეარჩიოს საყვარელი სათამაშო თუ წიგნი, რომელიც, უმჯობესია, სახალისო ნახატებით იყოს გაფორმებული.

● მეტად მნიშვნელოვანია, რომ უბრალოდ ბავშვის გვერდით კი იმყოფებოდეთ, არამედ მაქსიმალურად მჭიდრო და, რაც მთავარია, ალერსიანი ურთიერთობა გქონდეთ, თუნდაც სამსახურიდან დაბრუნებული დაღლილი იყოთ. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ძალიან ხშირად არც მას „სცალია“ თქვენთვის, რადგან თამაშით ან საშინაო საქმით არის გართული, ოღონდ ისიც გახსოვდეთ, რომ მისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ თქვენ გვერდით ჰყავხართ და ურთიერთობისთვის მუდამ მზად ხართ.

● ბავშვისთვის აუცილებელია ბოსტნეულის ჭამა, რომელიც ბევრს მაინცდამაინც არ უყვარს. ამიტომ კარგი იქნება, რომ, როცა კი ამის საშუალება გექნებათ, ბაზარში თუ მაღაზიაში, ვთქვათ, ორი სახეობის ბოსტნეული თავად თქვენს პატარას აარჩევინოთ, რაც მათი სამომავლო „მეგობრობის“ კარგი საწინდარი იქნება.

● პატარები ხშირად კარგავენ ცალ წინდას, ან მათ ერთმანეთში ურევენ. ამიტომ ეცადეთ ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული, თან ორ-ორი წყვილი იყოს.

● როცა ბავშვს კბილებს უხეხავთ, შეარჩიეთ რომელიმე სიმღერა და იმდენ ხანს იმღერეთ, რამდენიც ამ პროცედურის ბოლომდე მისაყვანადაა საჭირო. ერთი მხრივ, სიმღერა პატარას მოწყენის საშუალებას არ მისცემს, მეორე მხრივ, ის ერთგვარი „ტაიმერი“ იქნება, რომლის წყალობით ბავშვს ეცოდინება, თუ კიდევ რამდენი ხნის მანძილზე უნდა ჰქონდეს პირი ღია.

● ბავშვი თავს გაცილებით უფრო თავდაჯერებულად გრძნობს, როცა წინასწარ იცის, თუ რა უნდა აკეთოს დღის განმავლობაში. ამიტომ ეცადეთ, ყოველთვის გააცნოთ მას დღის გეგმა-განრიგი და, რაც მთავარია, შეასრულეთ ის — ეს პატარასთვის გარკვეულ „დისციპლინური ვარჯიშიც“ იქნება.

● თავისი ოთახის ან მიყრილ-მოყრილი სათამაშოების დალაგება ბავშვებს მაინცდამაინც არ უყვართ, სამაგიეროდ დიდი ხალისით აკეთებენ სხვა საშინაო საქმეებს — ნაგვის გატანას, სარეცხი მანქანის ჩართვას, რაღაცების გადაწყობ-გადმოწყობას. ამიტომ, თავდაპირველად დააკვირდით, რის გაკეთება უყვარს თქვენს პატარას და დაავალეთ ხოლმე ამ საქმის კეთება, თან მერე ერთად შეაფასეთ ხოლმე მისი ნაშრომი.

● როცა მოხარშულ კვერცხს აჭმევთ, ის თავადვე გაატეხინეთ და გააფცქვნევინეთ — მაშინ ის მას ბოლომდე შეჭამს. სხვა შემთხვევაში, როგორც წესი, ბავშვები ნახევარს არ ჭამენ.

● როცა ბავშვი ჭირვეულობს, ფეხით სიარული არ უნდა და ხელში აყვანას გთხოვთ, შესთავაზეთ იაროს არა როგორც ადამიანმა, არამედ როგორც, ვთქვათ, პინგვინმა, ბაყაყმა ან ცხენმა, ანდა ჯარისკაცივით გაიაროს. შეგიძლიათ „მატარებლობანაც“ ითამაშოთ — თქვენ ელმავალი იქნებით, ის კი ვაგონი, და ასე „ჩაბმულები“ მიდით სახლამდე.

● აზრი აქვს ბავშვის დაბადების დღეზე იმდენი სტუმარი დაპატიჟოთ, რამდენი წელიც შეუსრულდა — ეს მას ზედმეტ აღგზნებასა და გადაღლას აარიდებს.

● ბავშვისთვის თმის დავარცხნის, ფრჩხილების დაჭრის თუ ნაწნავის დაწნის საუკეთესო დრო მაშინაა, როცა ის მულტფილმებს უყურებს.

● ისწავლეთ რამდენიმე მარტივი ცხოველის — იხვის, ფისოს, ძაღლის, ჩიტის ხატვა — ამით თქვენ ბავშვის თვალში და ვინჩის დარი შემოქმედი გახდებით!

მოამზადა
დალი ხუნდაძემ

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
293-37-87

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **დიდი ხნით მიდიხარ სათევზაოდ?**
— **არა, პეტკას მხოლოდ ორი ბოთლი არაყი მოაქვს.**

* * *

— **რა შემთხვევაში მიატოვებთ სმას?**
— **თუ სიფხიზლეს მივატოვებ.**

* * *

— **პეტკა, ჩართე ახალი ამბები! გავიგოთ, ჩვენზე უარესად ვინ ცხოვრობს!**

* * *

— **ალბათ, სმას მივატოვებ.**
— **რატომ?**
— **შენ ეს ზაფხული გახსოვს?**
— **რა თქმა უნდა!**
— **მე კი არ მახსოვს.**

* * *

— **მიხო, ეს რა არის, ყველა საგანში ორიანი რად გაქვს გეოგრაფიის გარდა?**
— **გეოგრაფიის მასწავლებელს ჯერ არ გამოვუძახებივარ...**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე